IBSU

IBSU MEDIA CLUB

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

# გაზეთი

2015 წ. № 1

## „გაეროს მოდელირება“

გვანცა ნადიბაიძე, ანა ნატრიაშვილი, ნანო ლომინაძე




შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა კიდევ ერთ საინტერესო პროექტს უმასპინძლა. 2014 წლის 6 და 7 დეკემბერს შავი ზღვის საერთაშორისოუნივერსიტეტში გაიმართა პროექტი „გაეროს მოდელირება 2014“.

ეს პროექტი ტარდება, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ასევე, საქართველოშიც. იგი მიზნად ისახავს მსოფლიოში მიმდინარე იმ პროცესების განხილვას, რომლებიც ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

ამჯერად ახალგაზრდულ პროექტში მონაწილეობას ღებულობდა 270 დელეგატი და ისინი გადანაწილებულნი იყვნენ 9 სხვადასხვა კომიტეტში: უშიშროების საბჭო, მომავლის უშიშროების საბჭო, კრიზისები, ისტორიული კრიზისები, გაეროს განვითარება, 9/11-ის კომიტეტი, ეკონომიკის და ფინანსების კომიტეტი, გაეროს ნარკოტიკებისა და კრიმინალის კომიტეტი, ადამიანის უფლებათა საბჭოს კომიტეტი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე იმიტირებულიპროცესების დროს გათვალისწინებული იყო თითოეული დეტალი, რაც გაეროს სხდომებს ახასიათებს. დელეგატები სრულ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ თავიანთი მოვალეობების მიმართ და თითოეული მათგანი ცდილობდა საკუთარი თავი და ქვეყანა უკეთ წარმოეჩინა.

პროექტში ჩართული იყო 40-მდე ორგანიზატორი და 15-მდე ჟურნალისტი. მათი პირველი მოვალეობა, რა თქმა უნდა, მიმდინარე პროცესის შეფერხებების გარეშე ჩატარება იყო. ჟურნალისტები კი, ამ ყველაფერს აშუქებდნენ და ინფორმაციას ტვირთავდნენ Facebook გვერდზე.

8 დეკემბერს საგამოფენო დარბაზ "ExpoGeorgia"-ში გაიმართა გაეროს გენერალური ანსამბლის მოდელირება, სადაც თითოეულ კომიტეტს უნდა წარედგინა საკუთარი რეზოლუცია. თუმცა, საკომიტეტო სამუშაოების დაწყებას წინ უძღოდა ორთვიანი მოსამზადებელი პერიოდი. გთავაზობთ პროექტის მონაწილეთა კომენტარებს

### ორგანიზატორები

პროექტის მთავარი ორგანიზატორები იყვნენ ხატია ქობალია დ თემო ბარაბაძე. მათ მონაწილეობა მიუღიათ არაერთ მსგავს პროექტში. მათი თქმით საუკეთესო დეპუტატების შესარჩევად არაერთი დეტალური გასაუბრების ჩატარება მოუხდათ. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია "გაეროს მოდელირების ასოციაციის" დამფუძნებელი ხატია ქობალია გვესაუბრა:

"იდეა ამ პროექტის შესახებ წამოვიდა საერთაშორისო გაეროს მოდელირებებიდან, სადაც პირადად მიმიღია მონაწილეობა და სურვილი გამიჩნდა, რომ იგივე სახით საქართველოშიც ჩატარებულიყო ეს პროექტი. მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში ტარდება გაეროს მოდელირება, ხოლო წელიწადში ერთხელ გრანდიოზული საერთაშორისო მოდელირება იმართება, სადაც ყველას აქვს მონაწილეობის მიღების უფლება. ამ მოდელირებებს აერთიანებს ევროპის გაეროს საერთაშორისო მოდელირება, სადაც ყველა ასოციაცია და წარმომადგენლობა არის მიწვეული შესაბამისად გვაქვს სურილი, რომ ამ ერთიან შეკრებაზე საქართველოც წარსდგეს თავისი დელეგაციით, რასაც ჩვენი ორგანიზაცია უზრუნველყოფს.

***-რა იყო პროექტის განხორციელების მთავარი მიზანი?***

2015 წლის ივნისში გაიმართება პირველი სერთაშორისო სესია საქართველოში, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია უმასპინძლებს და გაუწევს ორგანიზებას. თუმცა, საერთაშორისო სესიამდე საჭიროა დავაგროვოთ გამოცდილება და თეორიული ცოდნა გადმოვიტანოთ პრაქტიკაში, ამიტომ ჩატარდა პირველად თბილისში გაეროს მოდელირების სესია და შემდეგი იქნება ქუთაისის ახალგაზრდული სესია 2015. ჩვენს ორგანიზაციას კავშირი აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ამ კონტაქტების მეშვეობით ჩვენც გავაგზავნით დელეგატებს სხვა საერთაშორისო სესიებზე.

***-როგორ მიმდინარეობდა წინასაპროექტო მზადება?***

წინასაპროექტო სამზადისი ორი თვით ადრე დაიწყო, როგორც მოგეხსენებათ, ახალი ორგანიზაცია ვართ და, შესაბამისად, დიდი შრომა ჩავდეთ ამ პროექტში. პროექტის პოპულარიზაცია, ძირითადად, მიმდინარეობდა სოციალური ქსელების საშუალებით, საინფორმაციო ბუკლეტების დარიგებით და სკოლებსა, თუ უნივერსიტეტებში პრეზენტაციების ჩატარების გზით. დამფუძნებლებმა თავიდანვე ავარჩიეთ საორგანიზაციო ჯგუფი, რომელთა წევრებმა დიდი შრომა და მონდომება ჩადეს ამ პროექტში ჩვენთან ერთად. ეს არის გუნდი, რომელმაც არ დაზოგა ენერგია და დრო იმისათვის, რომ პროექტი წარმატებულად ჩატარებულიყო. ბოლო ერთი კვირა კი მთელი საორგანიზაციო ჯგუფი 24საათიან რეჟიმში მუშაობდა, რომ თითოეული დეტალი დაგვეხვეწა და პროექტი შემ-

გაგრძელება გვ.3

## ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიურ კონფერენციას აშშ-ს ელჩი დაესწრო

ნინო ღაჟონია, მეგი დუმბაძე



ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშე ჯეიმს დიუი 2014 წლის 5 ნოემბერს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში დაესწრნენ განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის სამეცნიერო კონფერენციას. აუდიტორიას ვრცელი სიტყვით მიმართა ელჩმა, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა **შზსუ**-ს რექტორი, პროფესორი ილიას ჩილოღლუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თამარ შიოშვილი. რიჩარდ ნორლანდი ორი წლის წინ ჩამოვიდა საქართველოში. ქალბატონი თამარის თქმით „მისი ვიზიტის ობიექტი შავი ზღვის უნივერსიტეტია“.

ყველაფერი 2001 წლიდან დაიწყო. თამარ შიოშვილი ოთხ პროფესორთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე უნივერსიტეტში გაეცნო ამერიკისმცოდნეობის პროგრამას, ჩამოსვლის შემდეგ კი, იყო ინიციატორი, რომ საქართველოშიც შექმნილიყო ეს დარგი. განათლების სამინისტროს მიერ ლიცენზიის მინიჭების შემდეგ პირველად საქართველოში გაიხსნა ამერიკათმცოდნეობის პროგრამა, მას სხვა მსგავსი პროგრამებიც მოჰყვა, მაგრამ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არსებული პროგრამა საქართველოში დღესდღეობით ამერიკის მცოდნეობის ერთადერთი ინგლისურენოვანი პროგრამაა. ამერიკისმცოდნეობის სტუდენტების საბაკალავრო დიპლომში სპეციალობად „ამერიკის ექსპერტები“ ეწერებათ. მათ შზსუ-დან მიაქვთ საფუძვლიანი ცოდნა შეერთებული შტატების შესახებ, რომელიც თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შედეგად აქვთ მიღებული.

"საქართველოში აშშ-ს საელჩოს დიდი სიმპათია აქვს ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ და ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტი გვაკავშირებს", აცხადებს ქალბატონი თამარი. ამ პროგრამის ხელმძღვანელები ლექციების წასაკითხად ბევრ პროფესიონალს იწვევენ. შეიძლება ელჩი

გაგრძელება გვ. 2

## პატრიარქის მილოცვა უნივერსიტეტს



გვ. 5

## "წარმატებულმა სტუდენტმა იცის დროის ფასი"



გვ. 9

## "საერთაშორისო განათლება ქვეყნიდან გაუსვლელად"




გვ. 2

## სპორტული ცხოვრება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში



გვ. 12

## გელა ჩარკვიანი სტუმრად IBSU-ში



2014 წლის 12 სექტემბერს საერთაშორისო ურთიერთობების კლუბის (IRC) მოწვევით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ცნობილი ქართველი დიპლომატი, პედაგოგი, ტელეწამყვანი და რამდენიმე წიგნის ავტორი, ბატონი გელა ჩარკვიანი ესტუმრა. შეხვედრის ძირითადი მიზანი 2013 წელს გამოცემული წიგნის - „ინტერვიუ მამასთან“ განხილვა იყო, თუმცა ბატონმა გელამ სტუდენტებთან შეხვედრისას ბევრ სხვა თემაზეც ისაუბრა.

მეოცე საუკუნის მიწურულს ბატონმა გელამ გადაწყვიტა მამისგან, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქართველი საბჭოთა პოლიტიკოსის, კანდიდ ჩარკვიანისაგან აელო ინტერვიუ და შემოენახა საზოგადოებისთვის კულუარული ინფორმაცია სტალინის, ბერიასა და საბჭოთა პოლიტიკის შესახებ.

## „თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები“ ირაკლი კაკაბაძის საჯარო ლექცია

4 ნოემბერს საერთაშორისო ურთიერთობების კლუბის ინიციატივით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ეწვია ცნობილი უფლებადამცველი და მწერალი, ირაკლი კაკაბაძე. სტუდენტებთან შეხვედრისას მან ისაუბრა დღევანდელ მსოფლიოში გაბატონებულ პოლიტიკურ იდეოლოგიებზე. სტუმარი შეეხო ადამიანის უფლებების საკითხს თანამედროვე მსოფლიოში და რელიგიური კუთხით ადამიანის უფლებათა დარღვევებს.

ლექციის შემდეგ ბატონ ირაკლის სტუდენტები გაესაუბრნენ სხვადასხვა საკითხებზე, როგორიცაა სახელმწიფოს არსი, ისლამის როლი მსოფლიო ტერორიზმში, ძალთა ბალანსი დღევანდელ მსოფლიოში და ა.შ.

ლექციას ესწრებოდა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, ფილოსოფოსი ლაშა ხარაზი, რომელმაც დისკუსიის დასასრულს აღნიშნა, რომ მსგავსი თემატიკის საჯარო ლექციების ორგანიზება ძალიან სასარგებლოა დღევანდელი ახალგაზრდებისთვის.

## ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი IBSU-ში

2014 წლის 16 ოქტომბერს მომავალ ლიდერთა კლუბის (FLC) მოწვევით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ესტუმრა ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი ირაკლი ჟორჟოლიანი.

სტუმარი კლუბის წევრებს ესაუბრა ფონდის საქმიანობის შესახებ და გააცნო 2014 წლის პროგრამული პრიორიტეტები. ბატონმა ირაკლიმ პრეზენტაციის სახით წარმოადგინა მომავალი გეგმები სხვადასხვა საგანმანათლებლო და აკადემიური პროგრამების მხარდაჭერის შესახებ. შეხვედრის ფარგლებში საუბარი შეეხო უნივერსიტეტთან გაფორმებულ თანამშრომლობის მემორანდუმს და მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტების სტაჟირებას.საუბრის ბოლოს სტუდენტები დაინტერესდნენ იმ კონკრეტული პროექტებით, რომლებიც ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. ბატონმა ირაკლიმ მათ წარუდგინა ინფორმაცია სხვადახვა პროგრამების ვადების, პრიორიტეტების და მოსამზადებელი ტრენინგების შესახებ.

*დასაწყისი გვ. 1*

არა, მაგრამ უნივერსიტეტის სტუმრები ხშირად საელჩოს წარმომადგენლები იყვნენ. წელსაც ეს კონფერენცია არ იყო სიახლე, უკვე მეშვიდე წელია, რაც ეს კონფერენცია ტარდება. ამ ტრადიციულ კონფერენციებზე ამერიკის ტრადიციების, ისტორიისა და კულტურის საფუძვლიანი კვლევა ხდება, მონაწილეები შეერთებული შატატების თავისებურებებს ეცნობიან. წელს წარმოდგენილი თემები ეხებოდა აშშ-ს პოლიტიკას, განათლებას, სოციალურ საკითხებს, კულტურულ ასპექტებს, ამერიკის ყოველდღიურ ცხოვრებას. კონფერენციაზე მიმოხილულ იქნა ამერიკის გავლენა მსოფლიოზე, მისი გლობალური და რეგიონალური პოლიტიკა.

ჩვენმა რესპოდენტმა კითხვაზე, თუ რით იყო განსხვავებული ეს კონფერენცია, გვიპასუხა, რომ წელს უფრო მეტი ადამიანი მონაწილეობდა, ამჯერად მონაწილეობა მიიღეს არა მხოლოდ პროფესორებმა და სპეციალისტებმა, არამედ ბაკალავრიატის სტუდენტებმაც. საინტერესოა სტუმრების სიაც. კონფერენციას ესწრებოდნენ პროფესორები შავი ზღვის უნივერსიტეტიდან, ასევე, ამერიკანისტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, პროფესორ-მასწავლებლები საქართველოსა და ილიას უნივერსიტეტებიდან, სტუმრები სხვადასხვა რეგიონში არსებული უმაღლესი სასწავლებლებიდან.



ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ კონფერენციის მონაწილეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკანისტიკის სკოლის ხელმძღვანელს, პროფესორ ვასილ კაჭარავას. „ამერიკა ჩვენი მთავარი პარტნიორია ყველა სფეროში, შეფასებაც კი არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ელჩის ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის. ვასილ კაჭარავას შეფასებით ამერიკანისტიკის მიმართულების მიე შზსუ-ში გამართული ყველა კონფერენცია ერთმანეთზე უკეთესი იყო. კონფერენციის სხვა მონაწილემ ირინა ბახტაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ პროგრესი შეინიშნება და ორგანიზატორები სულ უფრო მაღალ სტანდარტებს იპყრობენ. “ელჩი ხშირად მოდის ჩვენთან, დარგის განვითარებისთვის ეს ძალიან სერიოზული მესიჯია.

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ქალბატონი ნათელა დოღონაძე კონფერენციას შზსუ-ს სამეცნიერო მუშაობის ნიშნადობლივ ღონისძიებად მიიჩნევს: “ამერიკისმცოდნეობას სჭირდება საელჩოს დახმარება და ამ დახმარებას ვღებულობთ კიდეც. საქართველოში აშშ-ს ელჩის ვიზიტი ჩვენს უნივერსიტეტში, ასევე ის, რომ მისთვის შეკითხვების პირადად დასმის საშუალება მიეცათ, სტუდენტებისთვის უდავოდ საინტერესო გამოცდილება იყო.“

უკვე ტრადიციულად ქცეული ამერიკანისიტიკის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია ხელს უწყობს სტუდენტებს უკეთ გაიაზრონ ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის როლი, დაინახონ და გააანალიზონ დიპლომატიური ურთიერთობის წარსული და მომავალი.

## “საერთაშორისო განათლება ქვეყნიდან გაუსვლელად”

### ინტერვიუ პრორექტორ ნათელა დოღონაძესთან

*თინათინ გოგიშვილი*



შავი ზღვის უნივერსიტეტის აკადემიური ცხოვრებაში სტუდენტთა სწავლება მჭიდროდაა დაკავშირებული პროფესურის აკადემიურ საქმიანობასთან. სამეცნიერო ჟურნალები, სამეცნიერო კონფერენციები უნივერსიტეტის აკადემიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, კადემიური ცხოვრების დეტალებზე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი ქალბატონი ნათელა დოღონაძე გვესაუბრება

***- ქალბატონო ნათელა, 2014 წელს უნივერსიტეტის აკადემიური ცხოვრებიდან რა მოვლენებს გამოყოფდით?***

- ტრადიციულად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყოველწლიურად არაერთ სამეცნიერო კონფერენციას ატარებს, ეს ტრადიცია არც 2014 წელს დარღვეულა. ჩატარდა როგორც შიდა საფაკულტეტო კონფერენციები, აგრეთვე უნივერსიტეტთა შორისი სამეცნიერო კონფერენციები, ზოგი კონფერენცია თავისი ხასიათით საერთაშორისო იყო, რადგან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ამ კონფერენციებში მონაწილეობას იღებდნენ როგორც გამომსვლელები და როგოც ორგანიზატორები.

სტუდენტურ კონფერენციებზე, როგორც წესი, დაწესებულია სპეციალური ჯილდოები. პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული მოხსენებების ავტორებს უნივერსიტეტის ადმინსტრაცია სხვადასხვა პრიზით აჯილდოვებს. ეს, ბუნებრივია, ამაღლებს მათ მოტივაციას, რომ სასწავლო დატვირთვის გარდა მონაწილეობა სამეცნიერო აქტივობებშიც მიიღონ, გარდა ამისა, კონფერენციებში მონაწილეობა ისახება სტუდენტების საბოლოო შეფასებებზეც. თუმცა, მე პირადად მგონია, რომ სპეციალური შეფასების გარეშე მონაწილეობის ფორმაც უნდა დავნერგოთ, რომ წავახალისოთ არამხოლოდ ის სტუდენტები, რომლებსაც მაღალ ქულებზე აქვთ პრეტენზიები, არამედ ის სტუდენტებიც, რომლებიც, შეიძლება, ზუსტად ამის გამო, ანუ დაბალი შეფასების მიღების ალბათობის გამო, თავს იკავებენ კონფერენციებში მონაწილეობისგან და ამ მიმართულებით ინიციატივას არ ავლენენ.

- პროფესორები როგორ ეხმარებიან სტუდენტებს, რომ მათ, სასწავლო პროცესის გარდა, კვლევით და სამეცნიერო პროცესშიც სცადონ ჩართვა?

- სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა ყველა სტუდენტს შეუძლია, ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. რაც შეეხება აკადემიური პერსონალისთვის ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებს, აქაც კი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ცდილობს არ შემოიფარგლოს მხოლოდ პროფესურით და ჩართოს სტუდენტები. ასეთ კონფერენციებში მუდმივად მონაწილეობენ დოქტორანტები და მაგისტრანტები. მაგისტრანტები ძირითადად პროფესორების ხელმძღვანელობით ამზადებენ თემებს და მათი თანაავტორები არიან.

ფაკულტეტზე, სადაც მე თავად ვასწავლი (ვგულისხმობ განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს) ბაკალავრიატის სტუდენტების აკადემიურ სამეცნიერო კონფერენციებზე ჩართვის პრაქტიკაც კი გვაქვს. შარშანაც გვყავდა ბაკალავრიატის სამი-ოთხი ისეთი სტუდენტი, რომლებმაც სტუდენტურ კონფერენციაზე მიიღეს მონაწილეობა და იმდენად კარგი მოხსენებები მოამზადეს, რომ რეკომენდაცია მივეცით, კიდევ უფრო საფუძვლიანად დაემუშავებინათ ეს თემები და შემდეგ მონაწილეობა მიეღოთ აკადემიური პერსონალისათვის ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაში. ასეც მოხდა.

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალების შესახებ რა შეგიძლიათ თქვათ?

- ყველა ფაკულტეტს აქვს საკუთარი სამეცნიერო ჟურნალი. ჩვენ ფაკულტეტზე გამოდის ორი სამეცნიერო ჟურნალი. ყველა სამეცნიერო ჟურნალის პერიოდულობა 6 თვეა, ანუ წელიწადში ორ-ორი ნომერი. სტატიებს აქვეყნებენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები, ჩვენი პროფესორები, აგრეთვე დოქტორანტი სტუდენტები, რომლებისთვისაც უბრალოდ აუცილებელია სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება. სტატიებს აქვეყნებენ მაგისტრანტებიც თავიანთ ხელმძღვანელებთან ერთად. შარშან გვქონდა შემთხვევა, როდესაც სტატია ბაკალავრიატის სტუდენტმა მოამზადა, აქ უკვე ხელმძღვანელის უშუალო და პირდაპირი დახმარება აუცილებელია და ჩვენ ეს სტატია სამეცნიერო ჟურნალში გამოვაქვეყნეთ, რადგან მართლაც ძალიან საინტერესო და სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისი კვლევა იყო.

***- გამოდის, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში სტუდენტებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ?***

- რა თქმა უნდა, სტუდენტების წვლილი არის და უნდა იყოს დიდი უნივერსიტეტის ცხოვრების ყველა მიმართულებაში, მათ შორის აკადემიურ აქტივობებშიც. ჩვენი სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ ხოლმე საერთაშორისოოლიმპიადებში და, როგორც წესი, ჩამოაქვთ ჯილდოები და პრიზები. ამ მხრივ განსაკუთრებით კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი გამოირჩევა, რომლის სტუდენტებიც არაერთი საერთაშორისო ოლიმპიადის გამარჯვებულები გამხდარან.

***- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთანაც თანამშრომლობს?***

- რა თქმა უნდა, ჩვენს უნივერსიტეტს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის, კონფერენციებისა და სხვა სახის ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების დიდი გამოცდილება აქვს. შარშან გაზაფხულზე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტსა და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტთან ერთად ერთობლივი სტუდენტური კონფერენცია ჩავატარეთ “განათლების, ინგლისური ენის სწავლების, ინგლისური ენისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის საკითხებზე”. კონფერენციაში ოთხი სექცია მუშაობდა - განათლების, ლიტერატურის, ლინგვისტიკისა და ამერიკისმცოდნეობის.

შავი ზღვის უნივერსიტეტი თანამშრომლობს, აგრეთვე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერისტეტთან, საზოგადოებრივ საქმეთა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან, ამდენად ჩვენი უნივერსიტეტისათვის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან კოორდინაცია ბუნებრივია.

***- აკადემიური ცხოვრების კუთხით რის გაუმჯობესებას გეგმავთ?***

- ძალიან სასურველია, რომ აკადემიურმა ღონისძიებებმა, როგორც სტუდენტების, ისე პროფესურისთვის ორგანიზებულმა კონფერენციებმა მიიღოს კიდევ უფრო მეტად ინტენსიური ხასიათი. გარდა ამისა, სასურველი იქნება უფრო მეტად დავეხმაროთ იმ სტუდენტებს, რომლებიც აგზავნიან საკუთარ თეზისებს საერთაშორისო კონფერენციებზე და იქიდან მოწვევას ღებულობენ, ასეთ სტუდენტებს, თუნდაც ნაწილობრივ, მაგრამ მგზავრობის ხარჯების დაფარვაში რომ დავეხმაროთ.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუდმივად ფიქრობს, რომ სწავლება არ იყოს მხოლოდ სალექციო, სასემინარო და პრაქტიკული ხასიათის. კვლევითი და სამეცნიერო მხარე აუცილებელია და აკადემიური ცხოვრების ამ ნაწილშიც სტუდენტები და პედაგოგები მხარდამხარ უნდა მიაბიჯებდნენ.

## კლუბები - სტუდენტური ცხოვრების სხვა მხარე

*თინათინ გოგიშვილი, მეგი დუმბაძე*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას უნივერსიტეტში არსებული კლუბები განაპირობებს. მათი ხელმძღვანელი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი აბდულ მელიქ ალკანია.

აბდულ მელიქ ალკანი: “უნივერსიტეტში 18-ამდე კლუბია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მათგანი არ აქტიურობს. წელსაც გავხსენით რამდენიმე ახალი კლუბი სხვადასხვა ფაკულტეტიდან. თითოეულ ფაკულტეტს ახლა უკვე 2-3 კლუბი აქვს.

სტუდენტების დაარსებული კლუბები ამრავალფეროვნებენ სტუდენტურ ცხოვრებას.

სტუდენტების ინტერესთა სფერო ფართოა. კლუბები სხვადასხვა გემოვნების მქონე წევრებს აერთიანებს. უნივერსიტეტში არსებული კლუბები ახორციელებენ, როგორც შიდა საუნივერსიტეტო აქტივობებს, ასევე ამყარებენ კავშირებს უნივერსიტეტის გარეთ არსებულ სხვა გაერთიანებებსა და ორგანიზაციებთან.

კლუბები ეხმარება სტუდენტებს განტვირთვაში. ამ კლუბების გარეშე, უნივერსიტეტი უბრალოდ მოსაწყენი ადგილი იქნებოდა”, ამბობს ალკანი.

უნივერსიტეტში ოცდახუთზე მეტი სტუდენტური კლუბია ჩვენ ამჯერად მხოლოდ რამდენიმეს შესახებ გიამბობთ.

### საერთაშორისო ურთიერთობების კლუბი International Relations Club

”საერთაშორისო ურთიერთობების კლუბი” 2014 წლის მარტში ჩამოყალიბდა. კლუბი გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის, პოეტ გიორგი კეკელიძის ლექციით ლიტერატურისა და პოლიტიკის შესახებ. კლუბის მთავარი მიზანი თავიდანვე იყო ის, რომ სტუდენტებს, რომლებიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ეუფლებიან საჯარო მართვას, საერთაშორისო ურთიერთობებსა, თუ პოლიტიკას,ჰქონოდათ საშუალება არა აკადემიურ ღონისძიებებში ჩართულიყვნენ. თავად გაეწიათ ორგანიზება საჯარო ლექციებისათვის, შეხვედროდნენ ადამიანებს, რომელთა გაცნობაც პროფესიული გამოცდილების გასაზიარებლად სურდათ. გაკეთებინათ სხვადასხვა მოდელირებები. ორგანიზებას უწევდნენ რეგიონალურ დღეებს, რომლებიც დაკავშირებული იყო საზღვარგარეთის ქვეყნებთან, მათ პოლიტიკასა და ურთიერთობებთან, საერთაშორისო პრობლემებთან, გამოწვევებთან და ა.შ

კლუბი აქტიური მუშაობით თავს იმკვიდრებს უნივერსიტეტის სხვა კლუბების გვერდით.

### მომავალ ეკონომისტთა კლუბი Future Economists Club

”მომავალ ეკონომისტთა კლუბი” 2013 წლის დეკემბერში დაფუძნდა. კლუბის დამფუძნებელთა სურვილი

*გაგრძელება გვ. 4*

დასაწყისი გვ. 1

დგარიყო ისეთად, როგორიც წარმოგვედგინა.

***-კომიტეტები რა პრინციპით ჩამოყალიბდა? როგორ მოხდა დელეგატების, ხელმძღვანელების და ასევე ჟურნალისტების შერჩევა?***

კომტეტების ნაწილი საერთაშორისო მოდელიდან არის აღებული, რაც ძირითადად საერთაშორისო სესიებზე გვხვდება, ნაწილი გაეროს რეალური კომიტეტებია, ხოლო სამი მათაგანი არის გამოგონილი კომიტეტი, რომელიც რელურად არ არსებობს. ეს გამოგონილი კომიტეტები არის ერთგვარი ინოვაცია, რაც აქამდე არ ყოფილა საქართველოში.

***-რატომ გადაწყვიტეთ შავიზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა?***

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი იყო ჩვენი პროექტის მთავრი და ექსკლუზიური პარტნიორი. ამ უნივერსიტეტმა გააკეთა მაქსიმუმი ჩვენი ორგანიზაციისათვის.

***-მომავალში მსგავსი პროექტის განხორციელების შემთხვევაში ისევ შავი ზღვის უნივერსიტეტთან ითანამშრომლებთ?***



მსგავსი პროქტი გაიმართება, რა თქმა უნდა, და შემდეგი იქნება თებერვალში ქუთაისის ახალგაზრდული სესია 2015. რაც მთავრია, „შავი ზღვის უნივერსიტეტთან" აქტიურად ვაპირებთ თანამშრომლობას .

***- განხორციელდა თუ არა თქვენი ჩანაფიქრი?***

პროექტი წარმატებით ჩატარდა და ამას ადასტურებს გამოხმაურებებიც. მონაწილეები დღემდე საუბრობენ ჩატარებულ პროქტზე და კმაყოფილებას გამოთქვამენ, შთაბეჭდილებებსა და სურვილებს გვიზიარებენ. ხოლო მთავარი მიზანი, რაც ივნისში ქალაქ ქუთაისში საერთაშორისო სესიის გამართვას გულისხმობს, ჯერ დაგეგმვის პროცესშია.

იმის გამო, რომ დელეგატებს საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი ჰქონდათ, ორგანიზატორები და სხვადასხვა კომიტეტის წარმომადგენლები ცდილობდნენ სიტუაციის განმუხტვას. ამისათვის, ისინი მოულოდნელად შედიოდნენ სხდომებზე და დელეგატებს რთავდნენ სხვადასხვა აქტივობებში: ცეკვა, სიმღერა. თამაშობდნენ „საიდუმლო მეგობარს", სადაც ერთმანეთს საჩუქრებს უკეთებდნენ. ყველაზე გრანდიოზული საჩუქარი კი ის იყო, რომ ერთ-ერთმა დელეგატმა თავის „საიდუმლო მეგობარს" ერთკვირიანი კემპინგ-ტური აჩუქა ტობა-ვარჩხილის ტბაზე. ეს საჩუქრები თითოეულ მათგანს დაეხმარა ერთმანეთის უკეთ გაცნობასა და დაახლოებაში.

**დელეგატები**

დელეგატების თავდაუზოგავმა მუშაობამ პროექტი უფრო საინტერესო გახადა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „გაეროს მოდელირება 2014"-ში მონაწილეობას იღებდა 270 დელეგატი. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამი დღის განმავლობაში თითქმის შეუსვენებლად მუშაობა მოუხდათ, თითოეულმა დელეგატმა ძალიან დიდი გამოცდილება მიიღო. გარდა იმისა, რომ მათ გაიღრმავეს ზოგადი განათლება, ასევე, გამოიმუშავეს ისეთი უნარები, როგორიცაა აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლა, საკუთარი აზრის ღიად გამოხატვა, დებატებში ჩართვა...

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კრიზისების კომიტეტს საგანგებო სიტუაციაში მუშაობა მოუხდა. კომიტეტის წევრები გამოცხადდნენ ღამის 12 საათზე საკომიტეტო მუშაობაზე, რადგან ხელმძღვანელებმა შეატყობინეს მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. დელეგატები დილის 8 საათამდე სხვადასხვა საკითხზე მსჯელობდნენ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრეცენდენტი არ მომხდარა არცერთი ორგანიზაციის მოდელირებაზე.

ასევე, სესიის ბოლო დღეს თითოეულმა დელეგატმა მიიღო სერთიფიკატი და სხვადასხვა პრიზი პროექტის სპონსორებისგან. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 9 საუკეთესო დელეგატის გამოვლენა, რომელთაგანაც ერთი წავიდოდა საერთაშორისო მოდელირებაზე და იქნებოდა საქართველოს დელეგატი. არჩევანი კი, თითოეული კომიტეტის ხელმძღვანელს უნდა გაეკეთებინა.

„სამი დღის განმავლობაში მონაწილე სტუდენტები არნახულ კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს. კარგი პოზიციის ფურცელი, თვითწარმოჩენის უნარი, საკითხის ცოდნა, დებატებში სწორი არგუმენტის მოყვანა და, რა თქმა უნდა, კომუნიკეს ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა გახდა ის კრიტერიუმები, რომლებიც საუკეთესო დელეგატს სხვებისგან გამოარჩევდა", აცხადებს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რუსუდან გოგისვანიძე.




საბოლოოდ გამოვლინდა ერთი




გამარჯვებული - დავით რეხვიაშვილი, ჩინეთის წარმომადგენელი. იგი იყო მომავლის უშიშროების საბჭოს წევრი, სადაც მათ სამომავლო საკითხებზე უხდებოდათ მსჯელობა. ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ, რომ ჩინეთის დელეგატობა არც თუ იოლი იყო, თუმცა დათომ ამას თავი შესანიშნავად გაართვა: „იყო აქტიური, გამოირჩეოდა განათლების დონით, ყველაზე კარგი პოზიციის ფურცელი ჰქონდა, ყველაზე მეტად იაქტიურა კომუნიკეს ტექსტის შექმნის პროცესში, ყველაზე კარგად მოირგო დელეგატის როლი და მუდმივად საუბრობდა თავისი ქვეყნის, ანუ ჩინეთის პოზიციიდან", ასე ახასიათებს მას მომავლის უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი, რატი ფრუიძე.

პროექტის შემდგომ ემოციებს კი თავად დათო გაგვიზიარებს:

***- რატომ გადაწყვიტე მონაწილეობა მიგეღო გაეროს მოდელირებაში?***

- გაეროს მოდელირება პრაქტიკული ცოდნის მიღების ერთ-ერთსაშუალებად მევლინებოდა ჩემს პროფესიაში (საერთაშორისო სამართალში), თუმცა, გამარჯვებას ვერც კი წარმოვიდგენდი.

***- რამდენად კმაყოფილი ხარ პროექტით?***

- კმაყოფილი ვარ ნამდვილად, რთულია არ ვიყო კმაყოფილი. იმაზე მეტად პომპეზური და კარგად ორგანიზებული აღმოჩნდა, ვიდრე ვიფიქრებდი და ვიდრე აქამდე მიმიღია მონაწილეობა. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ამ ორგანიზაციის პირველი პროექტი იყო.

***- შენი აზრით, რითი იყავი გამორჩეული სხვებისგან? რატომ აგირჩიეს შენ ?***

- ნამდვილად დიდ ძალისხმევას იჩენდნენ ხელმძღვანელები, რომ ყველას თანაბარ პირობებში ეგრძნო თავი. მინდა ვაღიარო, რომ ძალიან გამიმართლა, საოცარი კომიტეტი შემხვდა, რომ შემოგეხედათ ტიტანების ბრძოლა გეგონებოდათ. ძალიან ძლიერი ბავშვები იყვნენ და საოცრად სრულყოფილი კომუნიკე შევიმუშავეთ. თუმცა, დიდი ძალისხმევის გაღება მომიხდა, რომ ჩამეგდო და ჩავაგდე კიდეც, იმედია, მაპატიეს. მე მომიწია ამ გადაწყვეტილების მიღება და ამ მომენტმა გამომაჩინა, ალბათ. რა თქმა უნდა, გამიმართლა, რომ ამერიკის და ბრიტანეთის საწინააღმდეგო მტკიცებულებები აღმომაჩნდა და წარვადგინე პირდაპირ გენერალურ ანსამბლეაზე. ბოლო წუთამდე ვინარჩუნებდით დაძაბულობას კომიტეტის შიგნით და ამიტომაც გამოვიდა ჩვენი გამოსვლა ასეთი რეალური.

***- რას იტყვი ხელმძღვანელებზე და მათ მუშაობაზე?***

- რატიმ ძალიან დიდი როლი ითამაშა ჯგუფის სამართლიანი და თანაბარი მუშაობის პირობების შექმნაში და, ასევე, ძალიან კარგად ფლობდა საკომიტეტო თემას, რაც გვეხმარებოდა. რუსამ ითამაშა მთავარი როლი იმაში, რომ მწვავე კონკურენციის მიუხედავად, გუნდი შეკრული იყო და იგი ძალიან კარგი დიპლომატი, რაც დაეხმარა, რომ თავი გაერთმია შექმნილი სიტუაციისათვის.

**რას ამბობს მედია**

თხუთმეტამდე მომავალი ჟურნალისტი, რომელიც პროექტს აშუქებდა, დიდი შთაბეჭდილების ქვეშ აღმოჩნდა. „გვიწევდა ისეთ სიტუაციებში ყოფნა, როგორც ეს ნამდვილ ახალი ამბების ოთახებში, ე.წ. "ნიუსრუმებში" ხდება ხოლმე", ასეთი იყო სტუდენტების შეფასება.

„გაეროს მოდელირება 2014" გამოირჩეოდა იმითაც, რომ მას ჰყავდა ჟურნალისტების თხუთმეტკაციანი ჯგუფი. ისინი განაწილებულნი იყვნენ კომიტეტებში და წერდნენ ყველაფერს მათ შესახებ. სწორედ ჟურნალისტების დამსახურებაა ის, რომ გაეროს facebook გვერდი ყოველ 30 წთ-ში განახლებული იყო. დამწყები ჟურნალისტებისთვის ეს, რა თქმა უნდა, დიდი გამოცდილება იყო მათთვის. „მუშაობის პროცესი საკმაოდ საინტერესო იყო. გვიწევდა ისეთ სიტუაციებში ყოფნა, როგორც ეს ნამდვილ "ნიუსრუმებში" ხდება. საკმაოდ სწრაფად ხდებოდა ახალი ამბების მოპოვება, დამუშავება და შემდეგ გავრცელება", ასე აფასებს ერთ-ერთი ჟურნალისტი,




თინათინ გოგიშვილი, სამუშაო პროცესს.

მსგავს მოდელირებებში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც პროექტს ჰყავდა ამდენი ჟურნალისტი და ინფორმაციის გადაცემა საკმაოდ ოპერატიულად ხდებოდა. ჟურნალისტებიც ამ ყველაფერს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ: "ჩემთვის, როგორც მომავალი ჟურნალისტისთვის, ეს იყო დიდი გამოწვევა. ვფიქრობ, თავი საკმაოდ კარგად გავართვით", ამბობს მარიამ ბუღაძე.

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის როლი**

პროექტ „გაეროს მოდელირების" მთავარი მხარდამჭერი იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი გამოირჩევა მსგავსი აქტივობებით და არც ეს პროექტი აღმოჩნდა გამონაკლისი. **შზსუ**-ს სტუდენტებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ამ პროექტში, როგორც დელეგატებად, ასევე, ორგანიზატორებად და ჟურნალისტებად. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა ძალიან დიდი დახმარება გაუწია ორგანიზატორებს იმისთვის, რომ თითოეულ მონაწილეს თავი კომფორტულად ეგრძნო. თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა **შზსუ** და პროექტში მონაწილე 10 საუკეთესო აბიტურიენტს ფასდაკლების 25%-იანი ვაუჩერები გადასცა, რაც იმას ნიშნავს, რომ **შზსუ**-ში მოხვედრის შემთხვევაში ისინი, ერთი მეოთხედით ნაკლებ ფასს გადაიხდიან. თუმცა, ამის და კიდევ სხვა მრავალი საკითხის შესახებ უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზვიად ფიფია ჩართული იყო პროექტში.

პროექტის ჩატარების ინიციატივა მოდიოდა თვითონ ორგანიზატორებისა და ჩვენი მეგობრებისგან, რომელთაც უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ არასამთავრობო ორგანიზაცია "გაეროს მოდელირების ასოციაციასთან". შესაბამისად, მას შემდეგ, რაც განვიხილეთ პროექტის შინაარსი გადავწყვიტეთ დახმარება.

***- რა იყო ამ პროექტის მხარდაჭერის მთავარი მიზეზი?***

მხარდაჭერა რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული.პირველ რიგში, უნივერსიტეტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების მხარდაჭერა, კონკრეტულად ახალგაზრდული პროექტების, სადაც უამრავი პერსპექტიული ახალგაზრდა იყრის თავს. ამ ადამიანებთან კომუნიკაცია, თუნდაცამკუთხით, ჩვენთვის ფასეული და მნიშვნელოვანია.

***- გარდა შენობით უზრუნველყოფისა, რა სახის მხარდაჭერა განხორციელდა უნივერსიტეტის მხრიდან ?***

მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა, ასევე ადამიანური რესურსების ჩართულობა. თითოეული ჩვენგანი ჩართული იყო პროექტში, ვეხმარებოდით აბსოლუტურად ყველაფერში, რასაც საჭიროება მოითხოვდა. დავეხმარეთ საკონფერენციო დარბაზის მოძიებაში და ამავდროულად გარკვეული ფინანსური დახმარებაც გავიღეთ.

***- თქვენი აზრით, რა მოუტანა განხორციელებულმა პროექტმა უნივერსიტეტს?***

პროექტმა უნივერსიტეტს მეტი ცნობადობა მოუტანა. ბევრმა ადამიანმა გაავრცელა ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ, ვიცი, რომ ყველანი ძალიან კმაყოფილები იყვნენ. ამოცანაც, სწორედ, ეს გახლდათ, რაც შეიძლება უფრო მეტი უცხო სტუმარი მოსულიყო და კარგი შთაბეჭდილება დარჩენოდათ როგორც პროექტზე, ასევე, ჩვენს უნივერსიტეტზე

***- გამართლდა თუ არა თქვენი იმედები?***

კი, გამაართლა 100%-ით. ვფიქრობ, რომ შედეგი ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ვპროგნოზირებდით.

# ენათა სკოლა – დამხმარე კარიერული წინსვლის გზაზე

გვანცა ნადიბაიძე

ენათა სკოლა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაარსებიდან მუშაობს. თავდაპირველად სკოლაში მხოლოდ რამდენიმე უცხო ენა ისწავლებოდა და იგი უნივერსიტეტის ცალკე ერთეულს არ წარმოადგენდა. მოგვიანებით, როდესაც უნივერსიტეტში უცხო ენათა რაოდენობა გაიზარდა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ენათა სკოლის ცალკე, დამოუკიდებელ დანაყოფად ფორმირების იდეა გაუჩნდა.



ენათა სკოლაში ინგლისური, ქართული, თურქული, ესპანური, გერმანული და რუსული ენები ისწავლება, ამათგან თურქული და ქართული ენები - სრულად უსასყიდლოდ. ეს გადაწყვეტილება ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავების მიზნით იქნა მიღებული. ზემოთ ჩამოთვლილი ენებისთვის ჯგუფები იქმნება. ვინაიდან უნივერსიტეტში მეორე სასწავლო ენა ინგლისურია, ყველაზე მეტი მოთხოვნა სწორედ ამ ენაზეა.

თუკი სტუდენტი უნივერსიტეტში არჩევით საგნად უცხო ენას აიღებს, მას ამაში დამატებით საფასური არ მოეთხოვება. თუკი სტუდენტები სასერტიფიკატო პროგრამაზე გაივლიან რეგისტრაციას, მაშინ მათ შესაბამისი საფასურიც უნდა გადაიხადონ, ეს არ ეხება მხოლოდ თურქულ და ქართულ ენებს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ენათა სკოლა საზაფხულო სკოლების, დამატებითი სასერტიფიკატო კურსების და უნივერსიტეტში სხვადასხვა ენის შესწავლის მრავალგვარ შესაძლებლობას იძლევა.

კარიერული ზრდის თვალსაზრისით ეს შესაძლებლობები სტუდენტებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ენათა სკოლა სტუდენტებს შესწავლილი ენის ცოდნის გაღმავების მიზნით ეხმარება იმ ქვეყნების საზაფხულო სკოლებში მონაწილეობაში, რომელთა ენასაც სწავლობენ.

დასაწყისი გვ. 2

საინიციატივო ჯგუფის შექმნა იყო, რომელიც სხვადასხვა ეკონომიკურ თემებზე იმუშავებდა. კლუბის მიზანიც, შესაბამისად, აქტიური და ინოვაციური იდეების მქონე სტუდენტთა გაერთიანება და მათი განვითარების ხელშეწყობაა.

ერთწლიანი არსებობის განმავლობაში კლუბის წევრებმა მოახერხეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტის - ”ბიზნეს თამაშის” ორგანიზება. ბიზნეს თამაშს, რომელიც უკვე სამჯერ ჩატარდა უნივერსიტეტში, პარტნიორობას უნივერსიტეტის კიდევ ერთი ”ბიზნეს კლუბი” უწევდა.

მომავალში გასართობი პროექტის, ”მაფიის ღამის” განხორციელებას გეგმავენ. თუ დაინტერესებული ხართ, აუცილებლად ადევნეთ თვალი მათ facebook გვერდს.

### Embrace Charity Club საქველმოქმედო კლუბი

„საქველმოქმედო კლუბი“ დაფუძნდა მოხალისე სტუდენტების მიერ, რომელთაც საკუთარი წვლილის შეტანა სურთ ქველმოქმედებაში. ისინი ხშირად ატარებენ სხადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებას, მაგალითად ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ტკბილეულობისა და საჭმლის, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა; აგროვებენ ტანსაცმელებსა და სათამაშოებს ობოლთა თავშესაფრისათვის; ატარებენ საქველმოქმედო კონცერტებს, მასპინძლობენ კინოს დღეებს და სხვა.

მათი მიზანი ობოლი, თუ სნეული ბავშვებისა და მოხუცების, აგრეთვე, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანთა ჯგუფების დახმარება და მხარდაჭერაა.

კლუბის წევრები ამჟამად ძეგვის მონასტერთან არსებული თავშესაფრის ბავშვებს ეხმარებიან. პროექტს აქტიურად უჭერს მხარს უნივერსიტეტის სხვა კლუბებიც, განსაკუთრებულად კი,”Business Club”-ის წარმომადგენლები. სტუდენტბმა კლუბის წევრებს თავიანთი საახალწლო სურვილები გაანდეს, რომლის ასრულებაშიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერიტეტის სტუდენტები იღებენ მონაწილეობას.

### Culinary Club კულინარიული კლუბი

„კულინარიის კლუბი“ 2014 წელს ჩამოყალიბდა და მისი მიზანია, სტუდენტებმა თავად მოამზადონ და სხვა სტუდენტებსაც დააგემოვნებინონ საკუთარი, ეროვნული კერძები. კლუბი საკუთარ წევრებს ერთმანეთის კულტურის გაცნობაში კულინარიული ხელოვნების საშუალებით ეხმარება. კერძების მომზადებისას სტუდენტები ხშირად უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს, უახლოვდებიან და მეგობრდებიან. კულინარიის კლუბს თავისი წვლილი ქველმოქმედებაშიც შეაქვს, რასაც Charity Club-თან თანამშრომლობით ახერხებს.

დეკემბრში კლუბის წევრებმა ცაცხვის ჩაი მოამზადეს და სტუდენტებს უფასოდ დაურიგეს. ჩაი,როგორც ისინი ამბობენ, სხვა მრავალ დადებით თვისებასთან ერთად, სტრესსაც ხსნის. სემესტრის ბოლო კი დატვირთული და სტრესულია ხოლმე.

### Intercultural Clubinter კულტურული კლუბი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ”ინტერკულტურული კლუბი” 2013 წელს ჩამოაყალიბეს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებმა, რომელთაც სურდათ საერთაშორისო




ღონისძიებების ჩატარება შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. მათი მიზანი რაც შეიძლება მეტი ქართველი და უცხოელი სტუდენტის ჩართვაა მსგავსი ტიპის ღონისძიებებში. ინტერკულტურული კლუბის მიზანია შექმნას ერთიანი მეგობრული გარემო უნივერსიტეტში, რასაც სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების კულტურების გაცნობითა და დაახლოებით ცდილობს.

კლუბის ინიციატივით განხორციელებული პროექტებიდან ერთ-ერთი გამორჩეული პროექტი ”გაზაფხულის ფესტივალი” იყო, რომელიც 2013 წელს ჩატარდა. ღონისძიების მონაწილეები იხსენებენ, რომ გაზაფხულის ფესტივალი მრავაფლეროვანი ღონისძიება გამოვიდა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ამიტომ გადაწყვიტეს ტრადიციად აქციონ და კვლავაც დაგეგმონ მსგავსი ღონისძიება. ფესტივალი მართლმადიდებლურ აღდგომას დაემთხვა, ქართველებმა პასკები დაურიგეს სხვადასხვა ეროვნების მეგობრებს. თურქეთის მოქალაქე სტუდენტები კი თავიანთი ეროვნული კერძით, აშურათი გაუმსაპინძლდნენ უნივერსიტეტის სტუდენტებს. საქველმოქმედო კლუბთან თანამშრომლობით ”გაზაფხულის ფესტივალიდან” შემოსული თანხები ქველმოქმედებას მოხმარდა.

### Future Leaders Club მომავალ ლიდერთა კლუბი

”მომავალ ლიდერთა კლუბი” დაარსდა 2014 წლის 19 სექტემბერს. კლუბმა პირველ საერთო კრებაზე დაამტკიცა წესდება. ოქტომბერში, შიდა-ორგანიზაციული საკითხების დახვეწის შემდგომ, კლუბის პრეზენტაცია შავი ზღვის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა. მართალია, კლუბი სულ რამდენიმე თვის დაარსებულია, თუმცა მისმა მესვეურებმა უკვე არაერთ სტუმარს უმასპინძლეს. კლუბის წევრთა ორგანიზებით გაიმართა მერაბ ტურავას, არჩილ კბილაშვილის, მამუკა ახვლედიანის, ეკა ტყეშელაშვილის საჯარო ლექციები.

ნოემბრის თვეში იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართა კონფერენცია ევთანაზიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით. ევთანაზია გულისხმობს მომაკვდავი ადამიანის უფლებას, რომ უარი თქვას ავადმყოფობის გამო მიყენებული ტკივილებით გამოწვეულ ტანჯვაზე და ექიმების დახმარებით დაასრულოს სიცოცხლე.

ნოემბრის ბოლოს კლუბის ხელშეწყობითა და აქტიური მონაწილეობით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესი.

დეკემბრისთვის 10 რიცხვში ჩსიდეითა და ორგანიზებით ჩატარდა კლუბის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი გაეროს “დიდი შვიდიანის მოდელირება 7+4”, რამაც, საკმაოდ, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. პროექტში სტუდენტებთან ერთად ექსპერტებიც მონაწილეობდნენ.

ოქტომბრის ბოლოს კლუბის ინიციატივით გამოცხადდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი მიძღვნილი ესსეების კონკურსი. გამარჯვებულები დააჯილდოვეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს - 10 დეკემბერს. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით მოიწვიეს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ”ტოლერანტობის ცენტრის” ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი, რომელმაც საჯარო ლექცია ჩაატარა.

კლუბმა მემორანდუმები გააფორმა წარმატებულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: იუსტიციის სასწავლო ცენტრი, კონსტიტუციონალიზმის კვ-



ლევის ცენტრი, ომბუდსმენთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი...

### Intelectual Club ინტელექტუალთა კლუბი

კლუბი 2013 წლის შემოდგომაზე შეიქმნა და ინტელექტუალური თამაშის- ”რა? სად? როდის?” ირგვლივ გაერთიანდა. 2014 წლის გაზაფხულზე კლუბმა სკოლებს შორის პირველი ჩემპიონატი ჩაატარა, რომელშიც 10 სკოლა მონაწილეობდა. მონაწილეებს სერთიფიკატები გადაეცათ, გამარჯვებული გუნდი ორგანიზატორებთან ერთად ჯომარდობაზე წავიდა.

2014 წლის ოქტომბერში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტელექტუალთა კლუბმა ჩემპიონატს მეორედ უმასპინძლა და ამჯერად თამაშში 30 სკოლა ჩაერთო.

შიდა საუნივერსიტეტო ტურნირი კლუბმა სამჯერ ჩაატარა. თითოეული ლიგა 4 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. გამარჯვებულ გუნდს სიმბოლური საჩუქარი - დეკორატიული ბუ გადაეცემოდა.

ამჟამად კლუბის მუშაობა შეფერხებულია.

### Coffee with a proffessor club ყავა პროფესორთან ერთად

Coffee with a proffessor club 2014 წლის ოქტომბერში შეიქმნა. კლუბი სტუდენტებს უნიკალურ შანსს აძლევს პროფესორებს არაფორმალურ გარემოში შეხვდნენ, სრულიად სხვა მხრიდან გაიცნონ ისინი და მიიღონ სხვადასხვა რჩევა, მათ შორის არამხოლოდ აკადემიურ, არამედ ნებისმიერ ცხოვრებისეულ საკითხზე.

თითოეულ სტუდენტს აქვს საშუალება დასვას კითხვები, ამ მხრივ მათი თავისუფლება არ იზღუდება.

მათ უკვე ჰქონდათ ოთხი შეხვედრა. კლუბის პირველი სტუმარი იყო სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი ნიკა ჩიტაძე. შემდეგ ესტუმრათ ვახო ჟვანია, რომელმაც არ დაიშურა რჩევები კლუბის წევრთათვის.

აღსანიშნავია ბატონი გიორგი შადურის ვიზიტი. დამსწრეების თქმით, მან ნამდვილად გააოცა სტუდენტები, როდესაც შეასრულა რამდენიმე სიმღერა ბლუზისა და როკენროლის ჟანრში.

16 დეკემბერს შედგა შეხვედრა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორ ბატონ ილიას ჩილოღლუსთან.

ეს კლუბი რომ არა, სტუდენტებს არ მიეცემოდათ შესაძლებლობა, რომ მოესმინათ თავიანთი პროფესორების

გაგრძელება გვ. 9

# პირველი შეხება პროფესიასთან

ნიკა მუხიგულაშვილი



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა უკვე დაიმკვიდრა ადგილი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საზოგადოებაში და, რაც მთავარია, სტუდენტებში. 2014 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა პირველად გამოაცხადა მიღება ჟურნალისტიკის მიმართულებაზე. პირველივე წელს ჟურნალისტიკის მიმართულებაზე დიდი კონკურენცია იყო და ყველაზე წარმატებული ოცდაათი ახალგაზრდა შზსუ-ის სტუდენტი გახდა. პირველივე ნაკადმა ცხადყო, რომ ჟურნალისტიკის მიმართულების არსებობა შზსუ-სთვის და ჩვენთვისაც - სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

პირველკურსელისათვის უნივერსიტეტსა და პროფესიაზე შეხედულების შემქმნელი პირველი ლექტორები არიან... შესაძლებლობების განვითარებაში რომ გვეხმარებიან და საკუთარი თავის რწმენას რომ გვმატებენ...

„თქვენ გაქვთ უნარები, რომელიც დაგეხმარებათ კარგი ჟურნალისტები გახდეთ“...

ცნობილი ჟურნალისტი, ია ანთაძე ჩვენი ლექტორია. ის „მედიაწიგნიერებას“ გვასწავლის. მას შზსუ-ში აკადემიური თავისუფლება და სტუდენტების მზაობა მოსწონს. პედაგოგი არ გვიმალავს ჩვენს სუსტ მხარეებს - მშობლიურ ენაზე წერის პრობლემა, რის გამოსწორებასაც ერთად ვცდილობთ. ბუნებრივია, ჩვენს ძლიერ მხარესაც გამოყოფს - სურვილი, მონდომება და უნარები დავეუფლოთ ჟურნალისტის პროფესიას.

„მედიაწიგნიერების“ სასწავლო კურსი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“ თავდაპირველად მასწავლებლებისათვის შეიმუშავა. „მედიაწიგნიერების კუთხით განვითარებულ ადამიანს არ ელის ორი მთავარი საფრთხე - არ გახდება მანიპულაციის მსხვერპლი და არ გახდება მანიპულაციის იარაღი სხვის ხელში. ამიტომ მგონია, რომ ჟურნალისტიკის სწავლების საფუძველში „მედიაწიგნიერების“ გათვალისწინება აუცილებელია“, გვეუბნება ია ანთაძე.

ია ანთაძე პროფესიული განვითარების საფუძვლად სწორ ღირებულებებს მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მომავალ ჟურნალისტებს საზოგადოების წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა გვაქვს, რადგან, ნებსით თუ უნებლიეთ, საკუთარ ღირებულებებს გადავცემთ აუდიტორიას. „თუ შენი ღირებულებები სწორია და დროის შესაბამისი, მეტი ნდობა გექნება, ხოლო თუ საზოგადოება დაინახავს, რომ შენი ღირებულებები დროსთან არის აცდენილი, მაშინ შენს შეხედულებებს ვერ გაიზიარებს და ნდობაც არსაიდან მოვა“.

საგნის პედაგოგმა ზოგადი განათლების გაღრმავება და, ამ მიზნით, მხატვრული ლიტერატურის კითხვა გვირჩია, რაც, მისი თქმით, იქნება ყველაზე დიდი საქმე, რასაც საკუთარი მომავლისთვის გავაკეთებთ.

„თქვენში დიდ პოტენციალს ვხედავ“

ნელი ცქიტიშვილი შზსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორია. ის პირველსემესტრში სალექციო კურსს - „ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის შესავალს“ გვიკითხავდა. აღნიშნულმა საგანმა მომავალ ჟურნალისტებს ჩვენი პროფესიის დაუფლებისაკენ გზა გაგვიკვალა. საგნის პედაგოგი ფიქრობს, რომ მისი საგანი სტუდენტებს არჩეულ პროფესიას კიდევ უფრო შეაყვარებს, ჟურნალისტიკის არსში წვდომის საშუალებას მისცემს, პასუხისმგებლობასა და მოვალეობების გააზრებაში დაეხმარება. პედაგოგმა გვირჩია ვიყოთ ობიექტურები და სამართლიანები, არასოდეს გამოვაქვეყნოთ გადაუმოწმებელი ფაქტები და, რაც მთავარია, ვიკითხოთ ბევრი.

პირველი სემესტრის მიწურულს პროფესიული საგნების ლექტორებს ვაფასებთ.

თინათინ გოგიშვილი: „ლექციები დინამიური და ინტერქატიული ხასიათისაა. განსაკუთრებით, ჯგუფური სამუშაოები მხიბლავს, რადგან ლექციის მიმდინარეობისას, თითქმის, ყველა სტუდენტია ჩართული. მსგავსი აქტივობები ცოდნის მიღების საშუალებას იძლევა, ამასთან, ძალზე სახალისოა“.

მეგი დუმბაძე: „მნიშვნელოვანია, რომ ლექციებზე, თითქმის, ყველა სტუდენტი ვერთვებით სიტუაციურ თამაშებში. ლექტორები გვამხნევებენ, რაც დიდ სტიმულს მაძლევს“.

სალომე ონაშვილი: „საშუალება გვაქვს ერთად შევაფასოთ ჩვენი ჯგუფელების ნაშრომები, რაც ძალიან კარგია ჩვენთვის. ლექტორები შეფასების უნარის ჩამოყალიბებაში გვეხმარებიან“.

აკადემიური წლის პირველი სემესტრი დასრულდა... დასრულდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაზეთის მომზადებით. ისეთი განცდა გვაქვს, რომ ჩვენ ჩვენი პროფესორების თვალწინ ვიზრდებით და პროფესიონალ ჟურნალისტებად ვყალიბდებით.



# პატრიარქის მილოცვა უნივერსიტეტს

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის ილიას ჩილოღლუს საახალწლო მილოცვას საპასუხოდ მოლოცვის ბარათით გამოეხმაურა.


სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი №1
ტელ.:(995 32)2990378,2989540; ფაქსი:2987114

CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel.:(995 32)2990378,2989540;Fax:2987114

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ილიას ჩილოღლუს

ბატონო ილიას,

მადლობას გიხდით შობა-ახალი წლის გულთბილი მილოცვისათვის.

თქვენც გულითადად გილოცავთ ამ დღესასწაულს და გისურვებთ მშვიდობასა და წარმატებებს თქვენს მაღალ მსახურებაში.

სიყვარულით,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

შობა ქრისტესი,
2014-2015წ.



# ტურიზმის მიმართულება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

*სალომე ჩალიგავა, ნანა ბერუკაშვილი*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბიზნესის ფაკულტეტზე სამი წლის წინ ამოქმედდა ერთ-ერთი ახალი მიმართულება - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა. პირველივე წელს უნივერსიტეტმა ტურიზმის სპეციალობით დაინტერესებული 20 სტუდენტი მიიღო.

თავდაპირველად სწავლება მხოლოდ ინგლისურად მიმდინარეობდა, შემდეგ კი პროგრამას, ქართული სექტორიც დაემატა. ქართული სექტორის წლიური საფასურია 3540 ლარი, ხოლო ინგლისური სექტორის - 3960 ლარი.

სტუდენტები სწავლობენ ყველა იმ საგანს, რომელიც ამ პროფესიისთვის არის საჭირო. ესენია: ტურიზმის საფუძვლები, საქართველოს გეოგრაფია, მოგზაურობისა და ტურიზმის ისტორია, საქართველოს დაცული ტერიტორიები, შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში, კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი, სასტუმრო ინდუსტრია, ეთნოლოგია, ტურიზმის მარკეტინგი, ღონისძიებათა მენეჯმენტი და ა.შ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულების დამატება განაპირობა იმ რესურსის არსებობამ, რაც შავი ზღვის უნივერსიტეტს გააჩნია და, ასევე, ბაზარზე კადრების მოთხოვნის ფაქტორმაც.

პროგრამის ხელმძღვანელმა ეკა დევიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: "ტურიზმის მიმართულება ძალიან ბევრ უნივერსიტეტს აქვს. მინდა გაგაცნოთ ის პრიორიტეტები, რომლებიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს გააჩნია.

კერძოდ, საბაკალავრო სწავლების საფეხურზე თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა დაეუფლოს ორ, ან მეტ უცხო ენას (თურქული, რუსული, ესპანური), იმავდროულად სწავლების ენა ინგლისურია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროფესიისთვის.

ტურიზმის მიმართულების სტუდენტები მონაწილეობენ უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების გაცვლით პროგრამებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, ხვდებიან ტურიზმის სფეროში სახელმწიფო სტრუქტურებისა, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და დარგის წამყვან სპეციალისტებს სასტუმრო ინდუსტრიიდან. სტუდენტებს, სალექციო კურსების გარდა, ტურიზმის სფეროში ვთავაზობთ დამატებით სემინარებსა და მასტერ კლასებს, რომლებსაც უძღვებიან კვალიფიციური კადრები. ყო-




ველკვირეულად ბიზნესის მართვის ფაკულტეტის ფინანსური მხარდაჭერით ეწყობა საველე გასვლები, „კულტურულ-შემეცნებითი ტურები", ხდება თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა, სტუდენტები მონაწილეობენ კვლევებში, პრაქტიკული უნარები კი, მათი მომავალი წარმატების გარანტია. ფაკულტეტი ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი კადრების ჩამოყალიბებას.

ციცი ჯანგიძე პირველ ნაკადში მოხვედრილ სტუდენტთაგან ერთ-ერთია, ახლა იგი მეოთხე კურსზეა.

როგორც თავად ამბობს, იმიტომ აირჩია ეს უნივერსიტეტი, რომ ინგლისურენოვანი განათლება მისთვის პრიორიტეტულია. თვლის, რომ მისი ხასიათიდან გამომდინარე, პროფესია სწორად აირჩია. მას უყვარს ახალ და საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა, მოგზაურობა, სიახლეების ძიება და მუდმივად მოქმედებაში ყოფნა. მის კურსს, ანუ პირველ ნაკადს, თავიდან მცირე დაბრკოლებები შეხვდა, თუმცა, ტურიზმის პროგრამის კოორდინატორის ეკა დევიძის მიერ სწორად შერჩეული პედაგოგების წყალობით სასწავლო პროცესი უსწრაფესად გაიმართა და შედეგმაც არ დააყოვნა. ციცი დღესდღეობით ტურიზმის სფეროში, ორ სხვადასხვა უწყებაში მუშაობს, პარალელურად სწავლობს კიდეც, რაშიც უნივერსიტეტი ძალიან უწყობს ხელს. მისი თქმით, სტუდენტებს დასაქმებას თავად ლექტორებიც სთავაზობენ.

ტურიზმი თანდათანობით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტულ სპეციალობა ხდება.

# დებატების ინდივიდუალური ჩემპიონატი

2014 წლის 18 ნოემბერს საერთაშორისო ურთიერთობების კლუბის ორგანიზებით გაიმართა ინდივიდუალური დებატების ერთდღიანი ტურნირი.

დებატებში მონაწილეთა სამმა წყვილმა იდებატა სამ სხვადასხვა რეზოლუციაზე იმსჯელა. საბოლოოდ გამოვლინდა სამი გამარჯვებული, რომლებსაც წიგნები და სხვადასხვა სიმბოლური საჩუქარი გადაეცათ.

აღნიშნული დებატი იყო შესავალი გუნდური დებატების ხანგრძლივი ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი გაზაფხულის სემესტრში გეგმავს რამდენიმედღიანი ტრენინგის ჩატარებას, რომელსაც მოჰყვება ჩემპიონატი გუნდური დებატებში.

# ამერიკელი პროფესორების ვიზიტი IBSU-ში

განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა უმასპინძლა ამერიკელ პროფესორს, დოქტ. ბრიუს მაკოტო არნოლდს. ლექცია შეეხებოდა თემას: „ამერიკის განსაკუთრებულობა, ან საზღვაო პოლიტიკური პრეცედენტი: იაპონიაში ფრითის ექსპედიციის ხელახალი შეფასება, 1852-1854 წლებში."

2014 წლის 11 ნოემბერს პროფესორ-ამარიტუსმა ჯეიმს ლ. ლარსონმა აშშ-დან ჩაატარა ლექცია ამერიკისმცოდნეობის მიმართულების სტუდენტებთან განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ლექციის თემა იყო „დიდი დღეების მოგზაურობა ღამეში", „შუშის სამხეცე" და „მეზღვაურის სიკვდილი".

# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ცესკოსთან მემორანდუმი გააფორმა




2015 წლის 10 თებერვალს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეუერთდა ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერა უნივერსიტეტის რექტორმა - პროფესორმა ილიას ჩილოღლუმ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ჟვანიამ და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორმა - ნათია ზაალიშვილმა.

აღნიშნული მემორანდუმი ხელს შეუწყობს სტუდენტებში საარჩევნო კულტურის განვითარებას. თანამშრომლობის ფარგლებში, სამართლისა და ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები საარჩევნო სამართლის დარგში გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, კერძოდ, მონაწილეობას მიიღებენ საარჩევნო დავების განხილვასთან დაკავშირებით გამართულ იმიტირებულ პროცესებში და გაივლიან სტაჟირებას საარჩევნო ადმინისტრაციაში.

2010 წლიდან დღემდე, აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში მემორანდუმი გაფორმებულია საქართველოს 16 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

# სადოქტორო და სამაგისტრო სწავლების ინსტიტუტი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების ინსტიტუტი ორიენტირებულია ინოვაციასა და კონკურენტუნარიანი თაობის აღზრდაზე, რასაც თანდათან ახორციელებს და აღწევს შესაბამის შედეგს. ინსტიტუტში ამჟამად მოქმედებს 14




სამაგისტრო და 6 სადოქტორო პროგრამა, რომელთა სწავლების ენაა ქართული, ინგლისური და თურქული. შესაბამისად, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს აქვთ საუკეთესო შესაძლებლობა სალექციო კურსები გაიარონ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ქართველ და უცხოელ პროფესორებთან, აშშ-ს, თურქეთის და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან;

ინსტიტუტი სწავლების ინოვაციურ მეთოდებს იყენებს, მათ შორის სიმულაციური სწავლების მეთოდი, არის აგრეთვე კომბინირებული სწავლების მეთოდის, რაც გულისხმობს ორი, ან რამდენიმე ლექტორის მიერ მომზადებულ ერთი სასწავლო კურსის ჩატარებას.

ინსტიტუტის უდიდეს უპირატესობას წარმოადგენს როგორც სწავლის გადახდის მოქნილი გრაფიკი, ასევე, საღამოს სწავლება, რაც მეტად მნიშვნელოვანია დასაქმებული სტუდენტებისათვის; ხოლო რაც შეეხება დასაქმებას, ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული სწავლების უახლესი მეთოდები, გაცვლითი პროგრამები და მაღალკვალიფიციური კადრი განაპირობებს იმ ფაქტს, რომ, კონკურენტუნარიანი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების, ასევე, ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა 99% დასაქმებულია.

ინსტიტუტში მოქმედებს სამაგისტრო პროგრამები:

- ✓ ფინანსები (ინგლისურენოვანი)
- ✓ ფინანსები (ქართულენოვანი)
- ✓ მარკეტინგი (ინგლისურენოვანი)
- ✓ მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)
- ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)
- ✓ კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)
- ✓ საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა (ინგლისურენოვანი)
- ✓ ამერიკისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი)
- ✓ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)
- ✓ თურქული ფილოლოგია (თურქულენოვანი)
- ✓ ინგლისური ფილოლოგია (ინგლისურენოვანი)
- ✓ განათლების მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)
- ✓ ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა (ინგლისურენოვანი)
- ✓ უმაღლესი განათლების ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)

✓ სადოქტორო პროგრამები:

- ✓ ბიზნესის ადმინისტრირება (კონცენტრაცია - მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) (ინგლისურენოვანი)
- ✓ საერთშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)
- ✓ კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)
- ✓ ამერიკისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი)
- ✓ თურქული ფილოლოგია (თურქულენოვანი)
- ✓ განათლების მეცნიერებანი (ინგლისურენოვანი)

შზსუ-ს პარტნიორი უნივერსიტეტებია:

- ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ;
- კალიფორნიის პენსილვანიის უნივერსიტეტი, აშშ;
- ვისტულას უნივერსიტეტი, პოლონეთი;
- სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლა, ლატვია;
- ბარსელონას უნივერსიტეტი, ესპანეთი;
- კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტი, პოლონეთი;
- რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლატვია;
- ფინანსების და ადმინისტრირების უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა;
- საპიენზას უნივერსიტეტი, იტალია;
- იალოვას უნივერსიტეტი, თურქეთის რესპუბლიკა;
- ფატიჰის უნივერსიტეტი, თურქეთის რესპუბლიკა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სკოლა, ლატვია;
- კოზმინსკის უნივერსიტეტი, პოლონეთი.

2014 წლის ოქტომბერში ინსტიტუტის დირექტორის გოდერძი ბუჩაშვილის მოწვევით დანიელმა პროფესორმა სანდერს შხრუვერსმა ჩაატარა ლექციების კურსი "საზოგადოებრივი ურთიერთობების პრეცენდენტიების ანალიზი". დოქტორი შხრუვერსი ამსტერდამის უნივერსიტეტში კულტურათაშორისი ბიზნესისა და თანმხლებ სფეროთა უნარების სპეციალისტია. მის ლექციებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები და ბიზნესისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები დაესწრნენ, ინტენსიური ათდღიანი კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ.

## ბიზნესის მართვის ფაკულტეტმა მოიპოვა ვიშეგრადის საუნივერსიტეტო გრანტი





ვიშეგრადის ფონდმა მიიღო გადაწყვეტილება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის საგრანტო აპლიკაციის დაკმაყოფილების შესახებ. პროექტი მიზნად ისახავს ახალი სასწავლო კურსის, „ევროინტეგრაცია და ფინანსური ბაზრის რეფორმები ვიშეგრადის ქვეყნებში“ განვითარებასა და განხორციელებას ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სალექციო კურსის მომზადება და განხორციელება (სამი სემესტრის განმავლობაში) ქართველი და ვიშეგრადის ქვეყნების პროფესორების მიერ, პროექტის მიმდინარეობა გაშუქდება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ვებგვერდის მეშვეობით. კურსის ფარგლებში დაგეგმილ სემინარებს წარუძღვებიან პროფ. ქრისტოფ რიბინსკი, ვისტულას უნივერსიტეტის რექტორი (პოლონეთი) და საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი ერიკა მარსი (უნგრეთი).

ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი სლოვაკეთში (ბრატისლავა) დისლოცირებული ორგანიზაციაა, რომელიც დაფუძნდა 2000 წლის 9 ივნისს ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების (ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთის რესპუბლიკა და უნგრეთი) მთავრობების მიერ. ფონდის ბიუჯეტი შედგება აღნიშნული ქვეყნების თანაბარი შენატანებით. ფონდის მიზანია ამ რეგიონის მოქალაქეებისა და ინსტიტუტების, ასევე ვიშეგრადის რეგიონისა და სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ბალკანეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების განვითარება და თანამშრომლობის გაღრმავება ერთობლივი კულტურული საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელებით.

ფონდის მმართველი ორგანოებია: ელჩების საბჭო და საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია. ფონდის აღმასრულებელი ორგანოებია: დირექტორატი და სამდივნო.

## USAID-ის კავკასიის მისიის მრჩეველმა სტუდენტებს გამოცდილება გაუზიარა



2015 წლის 12 თებერვალს ბიზნესის მართვის ფაკულტეტმა უმასპინძლა საპატიო სტუმარს - შ I -ის კავკასიის მისიის მრჩეველს ენერგეტიკის საკითხებში ბატონ შუქრუ ბოღუთს. ბატონმა შუქრუმ სტუდენტებთან და პროფესორებთან შეხვერისას ისაუბრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ელექტროენერგიის ვაჭრობის მექანიზმები და საქართველოს მოდელი 2015 წლისათვის და შ I -ის ენერგეტიკის სექტორის ინფრასტრუქტურული პროექტები საქართველოში.

# ღია ლექციების ტრადიცია

## არჩილ კბილაშვილი

2014 წლის 26 ნოემბერს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის მოწვევით ჩატარდა არჩილ კბილაშვილის საჯარო ლექცია თემაზე „სამართალდამცავი ორგანოები საქართველოში“.

არჩილ კბილაშვილს 2012 - 2013 წლებში ეკავა საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობა. მას, ასევე, აქვს ადვოკატად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.



საჯარო ლექციაზე არჩილ კბილაშვილმა ისაუბრა საკუთარი კარიერის განვითარების შესახებ. მან სტუდენტებს გაანდო ის სირთულეები და თავისებურებები, რაც მთავარ პროკურორად მუშაობისას გადააწყდა. ლექციის მსვლელობისას ბატონი არჩილი შეეხო იმას, თუ როგორ უნდა ფუნქციონირებდნენ სახელმწიფო ინსტიტუტები გამართულ დემოკრატიულ სახელმწიფოში და როგორ უნდა იმართებოდეს სახელმწიფო ხელისუფლების შტოთა ბალანსის პირობებში.

ლექციას ესწრებოდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ილიას ჩილოღლუ, რომელმაც სიმბოლური საჩუქარი გადასცა სტუმარს და მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტთან თანამშრომლობისთვის.

## გოგა ხაინდრავა

2014 წლის ნოემბერში სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებამ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, რეჟისორსა და კინოდოკუმენტალისტს, ბატონ გოგა ხაინდრავას უმასპინძლა. საჯარო ლექცია ძალიან საინტერესო აღმოჩნდა სტუდენტებისათვის. სტუმარმა ისაუბრა არამარტო საკუთარ შემოქმედებაზე, არამედ ქართული კინოს განვითარების ისტორიაზე, სხვადასხვა ეპოქის გამორჩეულ კინოხელოვანებსა და იმ ფაქტორებზე, რაც თავად რეჟისორისთვის აღმოჩნდა შთამაგონებელი.



## ლაშა ტუღუში



26 ნოემბერს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის ჟურნალიტიკის სპეციალობის სტუდენტებთან გაიმართა შეხვედრა “საქართველოს პრესის ასოციაციის თავმჯდომარესა” და გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორ ბატონ ლაშა ტუღუშთან. ლაშა ტუღუშმა სტუდენტებთან თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის შესახებ ისაუბრა.

დისკუსიის დროს სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ კითხვებით მიემართათ სტუმრისთვის. რას ნიშნავს იყო პროფესიონალი ჟურნალისტი, როგორია პრაქტიკული გამოცდილების მიღების საშუალებები, - ეს იყო ის კითხვები, რომლის შესახებაც სტუდენტებმა სტუმართან ისაუბრეს.

სტუდენტების აზრით, შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. „ბატონ ლაშას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს ამ სფეროში, ჯილდოებიც მიუღია პროფესიული საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის და მისგან მიღებული რჩევები დამწყებ ჟურნალისტებს დიდ დახმარებას გაგვიწევს მომავალში”, აცხადებენ ჟურნალისტიკის სტუდენტები. დამამთავრებელ კურსებზე ჟურნალისტიკის პროგრამის რამდენიმე სტუდენტი სტაჟირებას გაზეთ “რეზონანსში” გაივლის.

## დავით ზურაბიშვილი

2014 წლის 24 ნოემბერს, შავი ზღვის საერაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა დავით ზურაბიშვილის საჯარო ლექცია თემაზე: ”ეროვნული ლიბერალიზმის თავისებურებანი, ანუ რას ნიშნავს პროდასავლურობა?”.

დავით ზურაბიშვილი გახლავთ ეკონომისტი, მწერალი და პოლიტიკოსი. საქართველოს პარლამენტის წევრი 2004—2008 წლებში. 2004—2005 წლებში იყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის წევრი, პარლამენტის ბიუროს წევრი. 2005—2008 წლებში — ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრი და თავმჯდომარის მოადგილე. 2012—2013 წლებში გახლდათ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე.



დავით ზურაბიშვილი არის მოთხრობების, აგრეთვე, პოლიტიკის, ეკონომიკისა და ლიტერატურის საკითხებზე მომზადებული არაერთი სტატიის ავტორი.

შეხვედრას სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ. დისკუსიის დროს მათ შესაძლებლობა ჰქონდათ კითხვით მიემართათ ბ-ნ დავითისთვის და მიეღოთ მათზე ამომწურავი პასუხი. შეხვედრაზე ისაუბრეს ისეთ თემებზე, თუ რას ნიშნავს პროდასავლურობა, რა არის ეროვნული ლიბერალიზმის თავისებურებანი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, სწორი დიპლომატიის მნიშვნელობა. ამ აქტუალურმა საკითხებმა სტუდენტებში დიდი დაინტერესება გამოიწვია

„შეხვედრა ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნა. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ბ-ნ დავითთან შეხვედრა. ადამიანთან, რომელსაც საოცრად დიდი გამოცდილება აქვს დიპლომატიის მიმართულებით. მისი მოსაზრება ამ დროისათვის ყველაზე აქტუალურ და მწვავე საკითხებზე მეტად საინტერესო იყო. ეს დამეხმარა ჩემთვის აქამდე ნაცნობი თემები სულ სხვა თვალით დამენახა “, აცხადებს ეკონომიკის მიმართულების სტუდენტი, სალომე ჯინჭარაძე.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი იმედოვნებს, რომ დავით ზურაბიშვილთან თანამშრომლობა გაგრძელდება.

## ტელეკომპანია “იმედში”



2014 წლის 1 ნოემბერს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები ტელეკომპანია „იმედს“ ეწვივნენ. მომავალ ჟურნალისტებთან ერთად იყო მიმართულების მრჩეველი, ექრემ დინდაროლი. სტუდენტებმა დაათვალიერეს “იმედის” შენობა. გაეცნენ, თუ როგორ ხდება ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და მაყურებლისთვის გადაცემა. მოინახულეს სამონტაჟოები, ხმის ჩამწერი აპარატები და ახალი ამბების ოთახი. როგორც სტუდენტები ამბობენ, ყველაზე საინტერესო იყო “იმედის” საინფორმაციო გადაცემის, “ქრონიკის” წამყვანთან, თორნიკე კვერენჩხილაძესთან შეხვედრა. ცნობილმა ჟურნალისტმა სტუდენტებს თავისი გამოცდილება გაუზიარა.

## მამუკა ახვლედიანი

გასულ წელს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა უმასპინძლა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარეს ბატონ მამუკა ახვლედიანს. საჯარო ლექცია ძალიან საინტერესო აღმოჩნდა სტუდენტებისათვის. სტუმარმა ისაუბრა არა მხოლოდ საკუთარ გამოცდილებაზე, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაზე და გააცნო სტუდენტებს საქართველოს სასამართლო სისტემაში განხორციელებული რეფორმები. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან ხანგრძლივი თანამშრომლობა აკავშირებს. უნივერსიტეტის სტუდენტები ყოველწლიურად გადიან სტაჟირებას სასამართლოში, გასულ წელს ცხრა სტუდენტმა სტაჟირება გაიარა. ლექციას ესწრებოდა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, რომელმაც სიმბოლური საჩუქარი გადასცა სასამართლოს თავჯდომარეს და მას მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტთან თანამშრომლობისთვის.






## შეღავათები

**როგორია სწავლის საფასური, შეღავათები და დაფინანსების სისტემა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლისთვის?**

"გრანტს + გრანტი" - საუკეთესო აბიტურიენტებს ჩვენ გთავაზობთ საუკეთესო პირობებს: სახელმწიფო გრანტის მიღების შემთხვევაში, შენ ავტომატურად მიიღებ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ოთხწლიან გრანტს (70%, 50%, 30%).






რა შემთხვევაში მივიღებ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა დაფინანსებას?

• ნებისმიერი ოდენობის სახელმწიფო გრანტის მფლობელი, საჯარო და კერძო სკოლების ოქროს, ან ვერცხლის მედალოსანი (რაც დასტურდება განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ატესტატით), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისგან მიიღებ *100%-იან და 70%-იან დაფინანსებას* 4 წლის განმავლობაში (*ოქროსმედალოსანი - 100% დაფინანსება, ვერცხლისმედალოსანი - 70% დაფინანსება*);

• თუკი პირველ პრიორიტეტს მიანიჭებ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამებს (064), მიიღებ *20% დაფინანსებას*;

• მიიღე მონაწილეობა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ყოველწლიურ სასკოლო ოლიმპიადაში. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისგან მიიღებთ სრულ, ან ნაწილობრივ დაფინანსებას (I ადგილი - *100% დაფინანსება*; II-III ადგილი - *75% დაფინანსება*; IV-X ადგილები - *50% დაფინანსება*; XI-XXV ადგილი *20% დაფინანსება*);

• თუ ხარ საქართველოს 2014-2015 სასწავლო წლის ეროვნულ-სამეცნიერო ოლიმპიადის მესამე ტურში გადასული აბიტურიენტი და, ამავე დროს, ნებისმიერი ოდენობის სახელმწიფო გრანტის მფლობელი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისგან მიიღებ *100% დაფინანსებას*;

• საქართველოს ეროვნული ნაკრების სპორტსმენები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისგან მიიღებთ *50% დაფინანსებას.*



### პირველი 100-ეული

ეროვნული გამოცდების რეიტინგით პირველი 100 აბიტურიენტი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისგან მიიღებთ 100% დაფინანსებას და ყოველთვიურ სტიპენდიას 200 ლარის ოდენობით (4 წლის განმავლობაში, წელიწადში 8 თვე);

### პირველი 200-ეული

ეროვნული გამოცდების რეიტინგით პირველი 200 აბიტურიენტი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისგან მიიღებთ 100% დაფინანსებას და ყოველთვიურ სტიპენდიას 100 ლარის ოდენობით (4 წლის განმავლობაში, წელიწადში 8 თვე).



## საუკეთესო აბიტურიენტები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ირჩევენ

2014 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით 449 აბიტურიენტიდან 189 სახელმწიფო გრანტის მფლობელია, მათ შორის 48 ოქროსა და 20 ვერცხლის მედალოსანი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი წარჩინებულ ახალგაზრდებს სასწავლო გრანტებითა და სხვადასხვა საჩუქრებით აჯილდოვებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი შეღავათებით **565-მდე** სტუდენტი სარგებლობს. გაცემული გრანტების ჯამური თანხა **912,390 ლარს შეადგენს.**



## ინტელექტუალური თამაში, „ტვინების ბრძოლა“



7 თებერვალს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა ფინალური ინტელექტუალური თამაში, „ტვინების ბრძოლა“.

ინტელექტუალური თამაში დაყოფილი იყო 2 ასაკობრივ კატეგორიად: I - უმცროსთა ლიგა, მე-7, მე-8, მე-9 კლასები. II - უფროსთა ლიგა, მე-10, მე-11, მე-12 კლასები.

თამაში ორივე ასაკობრივ კატეგორიაში ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა, რასაც მონაწილეთა დიდი შემართება და ქულათა გადანაწილება მოწმობდა. მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თამაშის პარალელურად თვალი ედევნებინათ ხუთ ცენტრალურ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი) მონაწილე გუნდების ქულათა გადანაწილების სისტემისათვის.

ორივე ასაკობრივ კატეგორიაში, ფინალური თამაშის გამარჯვებული გუნდები გახდნენ თბილისის წარმომადგენლები. მათ გადაეცათ საგზური ანაკლიაში, ინტელექტუალურ ღონისძიებაზე.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და აქტიურად უჭერს მხარს „ტვინების ბრძოლას“. თამაშის მე-5 და მე-6 ეტაპი, სწორედ, ჩვენს უნივერსიტეტში გაიმართა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა ასევე ნაყოფიერად გაგრძელდება და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი კიდევ ბევრ თამაშს უმასპინძლებს.

## ვიზიტები საქართველოს რეგიონებში



IBSU-ს სტუდენტები უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს ესტუმრნენ. პროგრამის ფარგლებში პრეზენტაციები ჩატარდა საქართველოს 300-ზე მეტ სკოლაში, დარიგდა 15000 -მდე სასაჩუქრე ნაკრები. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მადლობას უხდის IBSU-ს ყველა სტუდენტს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ პროექტში.

## IBSU-ს ბიბლიოთეკა განახლდა



IBSU-ს ბიბლიოთეკა ახალ სემესტრში თავის სტუდენტებს განახლებული სახით შეხვდა. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია 24 500 წიგნი და მუდმივად განახლებადი ელექტრონული ლიტერატურა. ბიბლიოთეკის განახლებულმა ინტერიერმა სტუდენტების დიდი ინტერესი დაიმსახურა. ბიბლიოთეკა არის აღჭურვილი საჭირო ტექნოლოგიით და შექმნილია მშვიდი, სასიამოვნო ატმოსფერო. უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ, ისარგებლონ მრავალფეროვანი ლიტერატურით.

# უნარების განვითარება

### რობოტიკის სამუშაოები

*სოფიო მეფარიშვილი, ანგელინა ჯაფარიძე*



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტექნიკური ფაკულტეტი 2007 წლიდან ყოველ წელს მონაწილეობს იღებს მსოფლიო ჩემპიონატში, ისეთ უნივერსიტეტებთან ერთად როგორებიცაა „კემბრიჯი“, „ოქსფორდი“ , „კანადის“ უნივერსიტეტი. ამ ჩემპიონატში 2014 წლამდე ტექნიკურ ფაკულტეტს აღებული აქვს 80 ჯილდო. 2014 წელს სამხრეთ კავკასიის ჩემპიონატზე 106 მონაწილიდან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 30 საუკეთესო გუნდს შორის გავიდა და აიღეს დიპლომი ''მაღალი მიღწევისთვის'', გუნდის წევრი გახლდათ ალექსანდრე მერაბოვი, რომელიც მეორე კურსელია და პირველად მონაწილეობდა ამ კონკურსში .

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ზრუნავს ნიჭიერ ახალგაზრდებზე არამარტო მაშინ, როცა ისინი უნივერსიტეტის სტუდენტები ხდებიან, არამედ მაშინაც, როცა ისინი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობენ. მაგალითად, შარშან თებერვალში, უნივერსიტეტმა დააფინანსა და "საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების და ინფორმატიკის ოლიმპიადების მხარდამჭერ ასოციაცია"-სთან ერთად უნივერსიტეტის ბაზაზე ჩაატარა საქართველოს მოსწავლეთა ზამთრის ოლიმპიადა ინფორმატიკაში და 2015 წელსაც გეგმავს ასეთი ოლიმპიადის ჩატარებას.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიღწევები ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებში 2014 წელს ასეთი იყო:

1. მაისში გამართული ი.ვეკუას სახელობის საერთაშორისო თასზე მოპოვებული იქნა პირველი და მესამე ხარისხის დიპლომი
2. 8 ნოემბერს გამართულ მეოთხედ ფინალის შემდეგ სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის (AGM) ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ოთხმა გუნდმა, გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ კავკასიის ჩემპიონატში.
3. სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის (AGM) ნახევარფინალში მონაწილე ოთხივე გუნდმა საპატიო დიპლომი დაიმსახურა .
4. სტუდენტთა შორის სამხრეთ კავკასიის ჩემპიონატზე მოპოვებული იქნა ერთი დიპლომი "მაღალი მიღწევებისთვის."

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა საოლიმპიადო გუნდების ხელმძღვანელის ბატონ გიორგი მანდარიას განცხადებით, ფინალში გადიან მოსწავლეთა ოლიმპიადის მონაწილე ბავშვები, რომლებიც რამდენჯერმე იყვნენ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები და მოგებული აქვთ მოსწავლეთა შორის მსოფლიო ოლიმპიადები. ბატონ გიორგის აზრით, ამ ოლიმპიადებში მონაწილეობა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ამ ოლიმპიადებში მონაწილეობას ღებულობს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები.

ასეთი მაღალი დონის შეჯიბრში მონაწილეობა უნივერსიტეტის რეიტინგისთვის და პრესტიჟისთვის უმნიშვნელოვანესია. ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს, რომ უნივერსიტეტში სწავლება მიმდინარეობს მაღალ დონეზე. მისივე თქმით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტები სწავლობენ პროგრამირებისა და ალგორითმიზაციის მეთოდებს, რომლებიც პრობლემათა ოპტიმალური გადაჭრის მეთოდებია და დღეს მთელ მსოფლიოში მოთხოვნა არის ისეთ პროგრამისტებზე, რომლებმაც ლოგარითმული ფუნქციები იციან.



ტექნიკური ფაკულტეტი ტრადიციულად ატარებს კონკურსს „ციფრული ზღაპრის შექმნა“, კონკურსში მონაწილეობენ ღებულობენ ბავშვები მეხუთე კლასიდან და ზემოთ, ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდებისათვის ტექნიკური ფაკულტეტის წარმომადგენლები ატარებენ შეხვედრებს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან.

სკოლა-ლიცეუმ ''სხივის '' მოსწავლის, გვანცა ხვედელიძისა და ანა ახვლედიანის თქმით, ისინი აუცილებლად ჩაერთვებიან ამ პროექტებში, რადგან მათი ჰობი ანიმაციის მზადებაა. მათივე განცხადებით, ესეთი სახის კონკურსები ხშირად უნდა ჩატარდეს , რათა ბავშვები უფრო აქტიურები და მონდომებულები გახდნენ.

2015 წელს ტექნიკურ ფაკულტეტს არაერთი აქტივობა აქვს დაგეგმილი, ამ სივრცეში კომპიუტერულ და სხვა ტექნოლოგიურ სიახლეებს არათუ არ ჩამორჩებიან, არამედ ქმნიან კიდეც.

# მოსწავლეთა ოლიმპიადა ინფორმატიკაში

2015 წლის 14 თებერვალს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა ზამთრის ოლიმპიადა ინფორმატიკაში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ შავი ზღვის სართაშორისო უნივერსიტეტი და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების და ინფორმატიკის ოლიმპიადების მხარდამჭერი ასოციაცია.

ოლიმპიადა ჩატარდა ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადების ფორმატით. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა, ასევე იმ ახალგაზრდებმა, რომლებსაც ჯერ არ შესრულებიათ 20 წელი და არ არიან რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები.

ოლიმპიადა ჩატარდა სამ ასაკობრივ ჯგუფში: მე-8 კლასამდე, მე-9, მე-10 და მე-11, მე-12 კლასელი მოსწავლეებისათვის და აბიტურიენტებისათვის. სამივე ჯგუფში მონაწილეებს ამოსახსნელად მიეცათ 3-3 ამოცანა და 4 საათი სამუშაო დრო. ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის, ქუთაისის და ბათუმის სკოლების მოსწავლეებმა.

ოლიმპიადაზე წარმატებით გამოვიდნენ დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის მოსწავლეები. უმცროს ასაკობრივ ჯგუფში ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა ნიკოლოზ შენგელაია.

საშუალო ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვა ალექსანდრე ფიჩხაძემ, თამარ კობახიძე-ჯავახიშვილმა და გიორგი გელაშვილმა, ხოლო უფროს ასაკობრივ ჯგუფში გიორგი სხირტლაძემ, ნუგზარ ჩხაიძემ და თემურ მიქავამ.



# ნიუ-იორკში მომუშავე კურსდამთავრებული

### "ბედნიერი ვარ, რომ თავის დროზე სწორი არჩევანი გავაკეთე"



დიდი მადლობა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან დაკავშირებით აზრის გამოთქმის საშუალება მომეცით. მე ვარ პაატა ჩიხლაძე, უნივერისტეტის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის 2012 წლის კურსდამთავრებული. ბედნიერი ვარ, რომ თავის დროზე სწორი არჩევანი გავაკეთე, ვინაიდან უნივერსიტეტში სწავლამ ჩემს ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოიტანა. ამჟამად ნიუ იორკში ვცხოვრობ და ჩემი მცირე ბიზნესი მაქვს. სიამაყით მსურს ვთქვა, შავი ზღვის უნივერსიტეტი რომ არა, ეს შეუძლებელი იქნებოდა. მსურს იმ უპირატესობების შესახებ გითხრათ, რის გამოც ეს უნივერსიტეტი ავირჩიე, ეს, ალბათ, ყველაზე მეტად აინტერესებს აბიტურიენტს. პირველ ყოვლისა, შავი ზღვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო განათლების მაღალ ხარისხს, ინგლისურენოვანი პროგრამების სწავლებისას მთავარი ენა, ბუნებრივია, ინგლისურია, ამ ენაზე მიღებული განათლება კი, ნიშნავს, რომ სტუდენტები კონკურენტუნარიანები იქნებიან არამხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც. თანამშრომლები ძალიან გონივრულად არიან შერჩეულები, უცხოელ და ქართველ პროფესორთა ერთობლიობა სტუდენტების შთამბეჭადვი განათლების დონეს უზრუნველყოფს. ალბათ, მკითხავთ, რატომ ავირჩიე ინგლისურენოვანი პროგრამა? პასუხი მარტივია, ეს საერთაშორისო სტანდარტია, ქართულენოვანი პროგრამების სტუდენტებს უხდებათ დაეწიონ მასალებს, რადგან თარგმანსა და ადაპტირებას დრო მიაქვს, ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებს კი, მყისიერი ხელმისაწვდომობა აქვთ სასწავლო მასალებზე.

როგორ მომეხმარა უნივერსიტეტი კარიერის გაკეთებაში? ჯერ კიდევ სწავლისას, დამამთავრებელ კურსებზე, უნივერსიტეტის დახმარებით საქართველოს ეროვნულ ბანკში დავიწყე მუშაობა. ზუსტად იმიტომ, რომ მივდევდი ჩემს ოცნებას საერთაშორისო დონის განათლების მიღების შესახებ, და ამ ოცნების ნაწილი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი იყო. მაგისტრატურაში სწავლა გავაგრძელე ნიუ იორკის სანტ ჯონსის უნივერსიტეტში, ეს კი იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ საბაკალავრო განათლების ხარისხი, რომელიც შზსუ-მ მომცა, ძალიან მაღალი იყო. მაგისტრატურაში სწავლისას კიდევ უფრო მეტად დავაფასე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიღებული განათლება, რადგან, მაგალითად, ჩემ ჩინელ ჯგუფელებს უჭირდათ სასწავლო მასალების დაძლევა, ჩემთვის კი ეს საკმაოდ იოლი გახდლათ. მაგისტრატურა შთამბეჭდავი GPA-თი - 3.69-თი დავასრულე. შემიძლია ვთქვა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მომამზადა იმისათვის, რომ პირისპირ დავმდგარიყავი პრობლემების წინაშე და წარმატებით გავმკლავებოდი წარმოქმნილ სიტუაციებს.

***პაატა ჩიხლაძე***

------



"შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი" სწავლის და პროფესიული განვითარების უამრავ საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გაცვილითი პროგრამები და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის ფინანსების მიმართულება. თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა გაიცნოთ ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტები, საფუძვლიანად შეისწავლოთ ფინანსები, დახვეწოთ თქვენი ინგლისური, იმოგზაუროთ და შეიძინოთ მეგობრები არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. სწორედ ეს არის ის მნიშვნელოვანი უპირატესობები, რომლებსაც გაძლევთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

***მარიამ დანიელოვა***
***"ფუნიკულიორის კომპლექსის" მარკეტინგის მენეჯერი***

# ილიას ჩილოღლუ: "წარმატებულმა სტუდენტმა იცის დროის ფასი"

*ინტერვიუ რექტორთან*

*მეგი დუმბაძე, ნინო ღაჟონია*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველოში 1995 წელს გაიხსნა. 2014 წლის ოქტომბერში გაზეთ "ჯორჯიან თაიმსის" მიერ დაწესებული ყოველწლიური ბიზნეს-რეიტინგის მიხედვით გამოვლინდა, რომ შზსუ მე-2 ადგილზეა კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შორის და მე-4 ადგილზე კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის 2014 წლის ოქტომბერში უმაღლესი სასწავლებლის რექტორის პოსტი ილიას ჩილოღლუმ დაიკავა. უნივერსიტეტის სამომავლო გეგმების შესახებ ახალი რექტორი გვესაუბრება



**- მოგვიყევით რაიმე თქვენს შესახებ...**

ჩვენი უნივერსიტეტი საქართველოში განხორციელებული ერთ-ერთი პირველი უცხოური ინვესტიციის საფუძველზე დაფუძნდა. იგი 1995 წელს საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ და თურქეთის იმ დროინდელმა პრემიერ მინისტრმა ქალბატონმა თანსუ ჩილერმა გახსნეს.

მე ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი გახლდით. წლების შემდეგ ვიყავი ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, ვმუშაობდი PR-შიც, ასევე, ვკითხულობდი ლექციებსამერიკასა და ატლანტაში პროფესიით კი, ეკონომისტი ვარ, ასოცირებული პროფესორი

**- რატომ აირჩიეთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი?**

იმიტომ ავირჩიე, რომ მსურდა ინგლისურად სწავლა და მეგობრებმა მირჩიეს, რომ ამ უნივერსიტეტში ამის შესაძლებლობა იყო, თურქული უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით

**- რა არის თქვენი წარმატების ფორმულა?**

საკუთარი საქმის სიყვარული, ყოველთვის მოგიტანს წარმატებას

**- რა გეგმები გაქვთ უნივერსტეტთან დაკავშირებით ახლო მომავალში?**

ვაპირებთ, რომ სუტუდენტთა რაოდენობა გაიზარდოს 4000-5000-მდე, აქედან 30-25% იქნება უცხოელი სტუდენტი, ასევე, თეორიასთან ერთად პრაქტიკული საქმიანობის სეგემენტი უფრო გავაძლიეროთ. უკვე რამდენიმე წელია ვცდილობთ, რომ უცხოელ პროფესორები მოვიზიდოთ ჩვენს უნივერსიტეტში, რაც თანდათანობით უკეთ გამოგვდის. მაგალითად, შარშან, ჩვენს უნივერსტეტში 8 უცხოელი პროფესორი მოვიწვიეთ, რომლებმაც სტუდენტებისთვის ლექციები ჩაატარეს. ვცდილობთ, სტუდენტებს მეტი შესაძლებლობები შევუქმნათ.

**- თქვენი აზრით, შავი ზღვის უნივერსიტეტის ყველაზე მკაცრი წესი რომელია?**

ჩვენს უნივერსიტეტში უმკაცრესად ისჯება გადაწერა, ანდა თაღლითობა, მაგალითად პლაგიატი ინგლისურად "ჩითინგს" რომ უწოდებენ. სტუდენტის ასეთ საქციელს გარიცხვა ან სოლიდური თანხით დაჯარიმება შეიძლება მოჰყვეს.

**- თქვენი აზრით, როგორია წარმატებული სტუდენტი?**

წარმატებული სტუდენტი გამოირჩევა აქტიურობით, ჩართულია სოციალურ ცხოვრებაში, სწავლობს კარგად, იყენებს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს, მან იცის დროის ფასი და მისი გამოყენების უნარი აქვს.

**- რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მიმართულების დამატება?**

გვსურს, რომ ჟურნალისტიკა და ტურიზმი წამყვანი სპეციალობები გახდეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. ამ პროფესიების დაუფლების მსურველ სტუდენტებს მეტი შესაძლებლობა აქვთ უცხოეთში სტაჟირებისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, დანარჩენი სპეციალობის სტუდენტებიც არ იჩაგრებიან. სპეციალურად ჩვენი მომავალი ჟურნალისტებისთვის, მოვიწვევთ ცნობილ ჟურნალისტებს, რომლებიც ჩაატარებენ საინტერესო ლექციებს

**- რას გვეტყვით გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით?**

იმ სტუდენტებს, რომელთაც უმაღლესი შეფასება ექნებათ, გავუშვებთ უცხოეთში სასწავლებლად, წასულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ დაინახონ სხვისი სამსახური, დახვეწონ ინგლისური ენა, გაეცნონ სხვა ქვეყნების კულტურას. ამ მხრივ ჩვენ სტუდენტებს ხელს მაქსიმალურად ვუწყობდით და კვლავაც შევუწყობთ.

**- რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც შავი ზღვის უნივერსიტეტის რექტორის პოსტი დაიკავეთ?**

თავს დაახლოებით ისე ვგრძნობ, როგორც მშობელი. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. ყველაფერი რაც უნივერსტეტს აწუხებს, ჩემი ტკივილია მე ისეთივე პასუხისმგებელი ვარ უნივერსტეტზე და თითოეულ მის წევრზე, როგორც მშობელი შვილზე

**- და ბოლოს რას გვისურვებთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს?**

წარმატებას გისურვებთ.

# ეკონომიკისა და ბიზნესის გაშუქება მედიაში

ეკონომიკის მიმართულების მოწვეული ლექტორის, ბატონ რომან გოცირიძის ინიციატივით, 2014 წლის 8 ოქტომბერს, ეკონომიკის მესამე კურსის სტუდენტებს ლექცია „ისტ გეიტ გრუპის" საინვესტიციო პროექტების დირექტორმა გიორგი ფანცულაიამ ჩაუტარა. ლექციას სტუდენტები კავკასიის ბიზნეს სკოლიდანაც დაესწრნენ.

ლექციის თემა იყო ეკონომიკისა და ბიზნესის გაშუქება მედიაში.

შეხვედრისას დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობა შავი ზღვისა და კავკასიის უნივერსიტეტებს შორის, რომლის ფარგლებშიც ეკონომიკის მიმართულებისა და კავკასიის ბიზნეს სკოლის სტუდენტები ერთობლივად მოამზადებენ სხვადასხვა თემებს ეკონომიკაზე, იმუშავებენ სიუჟეტებზე, რომლებიც ეკონომიკის საკითხებს მიეძღვნება.

# სასწავლო ვიზიტით დიდ ბრიტანეთში

პროექტ Tempus Mahatma-ს ფარგლებში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2 სტუდენტი - თინათინ ხატიაშვილი და თეონა გუდავაძე პროგრამის უმაღლესი განათლების ადმინისტრაციამ აირჩია და მისცა შანსი, სასწავლო ვიზიტით Bath Spa University-ს სწვეოდნენ. მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯები პროექტმა სრულად დააფინანსა და 15-30 ოქტომბერს პროფესორ ნათელა დოღონაძესთან ერთად სტუდენტები დიდ ბრიტანეთში გაემგზავრნენ.

*დასაწყისი გვ. 2*



პირადი ისტორიები. პროფესორთა აქტიური ჩართულობა კლუბის წევრებისათვის დიდი სტიმულია.

რულ, საინტერესო და ინტელექტუალურ გარემოში თუ გსურთ ყოფნა, IBSU lit and Bloggers club იდეალური ადგილია თქვენთვის.

### IBSU lit and Bloggers club ლიტერატორთა და ბლოგერთა კლუბი

კლუბი 2014 წლის ოქტომბერში დაარსდა. მის დამფუძნებლებს მიზანი მკაფიო აქვთ - სტუდენტების დამეგობრება ლიტერატურასა და ბლოგინგთან. იდეის ინიციატორები სხვადასხვა გამომცემლებთან მემორანდუმების გაფორმებასაც აპირებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ გზით ახალგაზრდა მწერლებს მიეცემათ საშუალება დაბეჭდონ ახალი წიგნები და წიგნების პრეზენტაცია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გააკეთონ.

ახალდაარსებულმა კლუბმა 4 დეკემბერს უმასპინძლა ლიტერატურულ შეჯიბრს მათთვის, ვისაც უყვარს ლიტერატურა, მუსიკა და აქვს კრეატიული აზროვნება. თამაშში 6 გუნდი მონაწილეობდა, რომელთაც სხვადასხვა კითხვაზე უწევდათ პასუხის გაცემა. გამარჯვებული გუნდის წევრებს ბიბლუსის 100-ლარიანი ვაუჩერები გადაეცათ.

კლუბის წევრები ამსხვრევენ სტერეოტიპს იმის შესახებ, რომ ქერა და ლამაზ გოგოებს წიგნები არ უყვართ. იმასაც აჩვენებენ უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომ სიმპატიურ ბიჭებსაც უყვართ კითხვა. მოკლედ, მხია-

### Theatre and Drama Club თეატრისა და დრამის კლუბი

"თეატრისა და დრამის კლუბი" 2014 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა. კლუბის წევრებმა ჯერჯერობით ვერც ერთი პროექტის განხორციელება ვერ მოახერხეს, თუმცა, ახლო მომავალში გეგმავენ რეჟისორის მოწვევას. შედგენილი აქვთ პრორგამა, რომელიც ითვალისწინებს ბავშვების მომზადებას, თეატრალური უნარ-ჩვევების განვითარებასა და თეატრალური ხელოვნების შესახებ ცოდნის გაღრმავებას. სტუდენტები კონკურსის ე.წ. "ქასთინგის" მეშვეობით შეირჩევიან, რომელშიც მონაწილეობა ნებისმიერ სტუდენტს შეეძლება. "ქასთინგის" მონაწილეებმა მხატვრულად უნდა წაიკითხონ, უნდა წარმოადგინონ იგავ-არაკი, პროზა, ან ლექსი.

### Cinema Club

კლუბი 2014 წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში შეიქმნა და მის წევრად უკვე 30-ზე მეტი სტუდენტი დარეგისტრირდა. პირველი შეხვედრა 4 ნოემბერს ფილმ „ანაბელის" ჩვენებით შედგა, რომლის დასრულების შემდეგ კლუბის წევრებმა განხილვა მოაწყვეს. სამომავლოდ გეგმავენ ცნობილი მსახიობებისა და რეჟისორების მოწვევას, მათთან გასაუბრებას, კინოთეატრში ჯგუფურ გასვლებსა და სხვადასხვა სახის კონკურსების ჩატარებას. კლუბს სპეციალური facebook ჯგუფი აქვს წევრებისათვის, სადაც დემოკრატიულად, ანუ ხმათა უმრავლესობით ირჩევენ ფილმებს, რომელთა ჩვენება და დისკუსიაც შემდგომში ეწყობა ხოლმე.

### IBSU Hiking Club შავი ზღვის უნივერსიტეტის მოლაშქრეთა კლუბი

კლუბი 2014 წლის მაისში დაფუძნდა. მათი პირველი გასვლა კახეთში, ლაგოდეხის ნაკრძალსა და გურგენიანის ჩანჩქერზე შედგა. პირველ ლაშქრობაში 13 სტუდენტი მონაწილეობდა. ეს ტური საკმაოდ მრავალფეროვანი და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა მათთვის. შემდეგ ტურზე ხევსურეთში, აბუდელაურის ტბას უკვე 36 ადამიანი ესტუმრა. სექტემბერში დაიგეგმა და შედგა ორდღიანი ტური ბირთვისში, კარვებით. ამ ღონისძიებას ათზე მეტი მონაწილე ჰყავდა.

2014 წლის პირველ დეკემბერს კლუბმა კონფერენცია ჩაატარა უნივერსიტეტში და შეაჯამა ჩატარებული ღონისძიებები. კონფერენციას ესწრებოდა ალპური კლუბის დირექტორი და პროფესიონალი მთამსვლელი ბიძინა გუჯაბიძე, რომელმაც სტუდენტებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა.

IBSU hiking club-ს ძალიან ბევრისაინტერესო პროექტი აქვს მომზადებული სტუდენტებისთვის და მომავალში ბევრი მათგანის ჩართვას აპირებს მრავალფეროვან აქტივობებში.





### Robotics Club

რობოტთა კლუბი არსებობის თითქმის ერთ წელს ითვლის. დამფუძნებელი სამხედრო გამომგონებელი გიორგი უსანეთაშვილია. კლუბში გაწევრიანების შემთხვევაში პრაქტიკულ სამუშაოებამდე, თეორიულ ცოდნას ფიზიკის, ჰიდრავლიკის, აეროდინამიკის, მექანიკისა და მოდელირების შესახებ ბატონი გიორგი თავად გაგიზიარებთ. ორწლიანი კურსის წარმატებით გავლის შემდეგ კი, „ახალგაზრდა გამომგონებლის" სერთიფიკატის მფლობელი გახდებით.

უნივერსიტეტს საკმაოდ კარგად აღჭურვილი ლაბორატორია აქვს. რობოტების თითოეულ დეტალს სტუდენტები თავად ქმნიან და უარს ამბობენ ქარხნული წესით დამზადებული ნაწილების გამოყენებაზე.

კლუბმა დაარსებიდან სულ რაღაც ერთ თვეში მოახერხა შეექმნა ხაზზე მოსიარულე რობოტი, რომელიც თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე წარადგინეს. შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა შესძლეს უკეთესი შედეგი ეჩვენებინათ, ვიდრე ეს სხვა ბევრად გამოცდილმა მოასპარეზეებმა მოახერხეს.

ამჟამად "რობოტიკის კლუბი" რამდენიმე პროექტზე მუშაობს და ემზადება საერთაშორისო ჩემპიონატის მასპინძლობისათვის.

თუკი რომელიმე კლუბით დაინტერესდით, შეგიძლიათ, თვალი ადევნოთ მათ facebook გვერდებს და მიიღოთ ინფორმაცია კლუბების მომავალი აქტივობების შესახებ. კლუბებში გაწევრიანება ნებისმიერი სტუდენტისთვისაა შესაძლებელი.

თუ თავადაც გაქვთ იდეა კლუბის ჩამოყალიბების შესახებ და ამაზე დიდი ხანია ფიქრობთ, შეგიძლიათ მიმართოთ უნივერსიტეტის პროფესორ აბდულ მელიქ ალკანს, რომელიც დაგეხმარებათ გეგმების რეალიზებაში.

# მერაბ ტურავას ლექცია საერთაშორისო სისხლის სამართალზე

2014 წლის 13 ოქტომბერს მომავალ ლიდერთა კლუბის ორგანიზებით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბატონ მერაბ ტურავას საჯარო ლექცია შედგა. ბატონი მერაბი ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორია, არის საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი. ლექცია შეეხებოდა საერთაშორისო სისხლის სამართალს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) მუშაობის სპეციფიკასა და გამოწვევებს.

# "მე ჩემი უნივერსიტეტის დესპანი ვარ"

2014 წლის 18-19 ოქტომბერს საერთაშორისო ურთიერთობების კლუბმა (IRC) ორგანიზება გაუწია გასვლით ექსპედიციას სამცხე-ჯავახეთში სახელწოდებით „მე ჩემი უნივერსიტეტის დესპანი ვარ". ექსპედიციის ფარგლებში სტუდენტებს საკუთარი თვალით უნდა ენახათ რეგიონში არსებული სიტუაცია და სოციალური ურთიერთობების ჭრილში მოემზადებინათ სპეციალური კვლევები. ექსპედიცია ჩატარდა შზსუ-ს მოწვეული პროფესორის, ბატონი მამუკა არეშიძის ხელმძღვანელობით. უშუალოდ ადგილზე სამუშაოებს უძღვებოდა, ასევე, შზსუ ლექტორი, ბატონი ოთარ ბაღათურია.

ექსპედიციის ფარგლებში კლუბის პრეზიდენტ ბაკო ხელაძის ხელმძღვანელობით სტუდენტები ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. აღნიშნული ვიზიტი ნაყოფიერი აღმოჩნდა. რექტორმა, ბატონმა მერაბ ბერიძემ, ჩაატარა ლექცია რეგიონისა და უნივერსიტეტის შესახებ.

კლუბი ეწვია კათოლიკეებით დასახლებულ სოფელ უდეს, ზარზმას, რაბათის ციხეს, ვანის ქვაბებს და ვარძიას. სტუდენტები ადგილობრივი მოსახლეობისაგან იღებდნენ ინტერვიუებს და აგროვებდნენ მასალებს მომავალი კვლევებისთვის.

აღნიშნული ექსპედიცია იყო დასაწყისი იმ დიდი პროექტისა, რომელიც მოიცავს შზსუ-ს სტუდენტების სხვადასხვა რეგიონებში ჩაყვანასა და ხალხთა და კულტურათა თანაარსებობის შესახებ კვლევების ადგილზე მომზადებას.

# "ამიერკავკასიის ყველაზე დაცული საცავი"

19 ნოემბერს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულების სტუდენტები მათი ლექტორის, რომან გოცირიძის ინიციატივით საქართველოს ეროვნული ბანკის საცავს ეწვივნენ. სტუდენტებს ეროვნული ბანკის საცავის უფროსი ბატონი კახი ცაგურია შეხვდა, რომელმაც დაათვალიერებინა ამიერკავკასის ყველაზე დაცული საცავი და გააცნო მისი ფუნქციონირების მექანიზმი.

თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური უსაფრთხოების სისტემების გამო, ეს საქართველოში ყველაზე უსაფრთხო ადგილია ფასეულობის შესანახად. ეროვნული ბანკის საცავში დაცულია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პირთა ქონება. ახალი საკასო ცენტრი სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და მუშაობს ტექნოლოგიებით, რომლებსაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკები იყენებენ.

სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, კითხვებით მიემართათ ეროვნული ბანკის წარმომადგენლებისათვის და უფრო დეტალური, ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ ეროვნული ბანკის როგორც ზოგადი საქმიანობის, ასევე, მათთვის საინტერესო დეპარტამენტების მუშაობის შესახებ.

# სტუდენტი, თანამშრომელი, ლიდერი

## მიშა გულიაშვილი - "რეფორმების დროა"

*ნინო ალბუთაშვილი, სალომე ონაშვილი*

მიშა გულიაშვილი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტია, ამავდროულად იგი უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციაშიც მუშაობს. მიშა გვესაუბრა უნივერსიტეტის შესახებ, უახლოეს გეგმებზე და იმ თემებზე, რაც შავი ზღვის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისათვის საინტერესო იქნება.

**რატომ გადაწყვიტე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩაბარება?**

2012 წელს, როდესაც აბიტურიენტი გავხდი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ მწირ ინფორმაციას ვფლობდი. თუ არ ვცდები, 2013 წლის დასაწყისში განათლების სამინისტროს მიერ გამოცემულ გაზეთში ვნახე ის ინფორმაცია, რომელმაც



გადამაწყვეტინა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩაბარება. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული უნივერსიტეტი და სტუდენტს დიდ შეღავათს აძლევს ფინანსური თვალსაზრისით, პირველი მიზეზიც სწორედ ეს იყო, რის გამოც ჩავაბარე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. "შზსუ"-ს ჰქონდა საკმაოდ საინტერესო შემოთავაზება, კერძოდ, მოსწავლეები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მესამე ტურში იყვნენ გადასულები – ისწავლიდნენ უფასოდ. იმ დროისათვის მე გეოგრაფიის ეროვნული ოლიმპიადის მესამე ტურში ვიყავი გადასული, ამდენად, სასწავლებელში უფასოდ მოვხვდი და დღესაც უფასოდ ვსწავლობ ამ უნივერსიტეტში.

**გაიხსენე შენი პირველი დღე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში**

პირველი დღე როცა უნივერსიტეტში მოვედი, გაიმართა სპეციალური მიღება პირველკურსელთათვის. თითოეული ფაკულტეტის დეკანმა მოგვმართა სიტყვით, აგვიხსნა, თუ რას ნიშნავდა იყო ამ უნიერსიტეტის სტუდენტი, რას ნიშნავს, როდესაც გაქვს შზსუ-ს დიპლომი და რა უპირატესობა გვექნება სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან შედარებით.

**რა პროფესია აირჩიე და რატომ?**

ვსწავლობ სოციალურ-მეცნიერებათა ფაკულტეტზე სახელმწიფო მართვისა და საჯარო ადმინისტრირების სპეციალობაზე. მომავალში პოლიტიკოსობას ვაპირებ. ყოველთვის მაინტერესებდა პოლიტიკა. 2003 წლიდან ჩართული ვარ პოლიტიკურ აქტივობებში, თვალყურს ვადევნებ ქვეყანაში მინდინარე პროცესებს და ვთვლი, რომ „ახალგაზრდა პოლოტიკოსი" უკვე ვარ. არსებობს ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა პოლიტიკოსები", „საქართველოს ახალგაზრული მთავრობა", რომელშიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრა სტრუქტურის მინისტრის თანამდებობა მიკავია.

**რამდენად იძლევა უნივერსიტეტი შენი პროფესიული ჩამოყალიბებისა და განვითარების საშუალებას?**

უნივერსიტეტში ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ სტუდენტმა შეიძინოს მისი პროფესიისთვის აუცილებელი ყველა უნარ-ჩვევა და დაეუფლოს ცოდნას კონკრეტულ სფეროში. თითოეული პროფესორი, ისევე როგორც ადმინისტრაციის პერსონალი, სტუდენტებს ეხმარება და ხელს უწყობს დასახული მიზნის წარმატებით მიღწევაში.

**შენი სტუდენტური ცხოვრება სწავლის გარდა კიდევ რისგან შედგება?**

ამ ეტაპზე ვმუშაობ უნივერსიტეტის კარიერული დაგეგმების (დასაქმების) დეპარტამენტში, ვხვდებით სხვადასხვა კომპანიებს, ვიღებთ მათგან ინფორმაციას, თუ რა პროფესიის ადამიანები სჭირდებათ, ვახარისხებთ მათ ვაკანსიებსა და ჩვენ კურსდამთავრებულებს კარიერის დაწყებაში ვეხმარებით.

თავისუფალ დროს, არ მიყვარს უსაქმოდ ყოფნა. მირჩევნია რაიმე სასარგებლო საქმე ვაკეთო. აი მაგალითად, ამ წლის აგვისტოში facebook-ზე გავაკეთე ჯგუფი „ IBSU FRASHMEN 2014–2015", სადაც თითქმის ყველა IBSU-ს პირველკურსელი სტუდენტია გაწევრიანებული და თუკი რაიმე კითხვა აქვთ სტუდეტურ ცხოვრებასთან, ლექციებთან, სპორტთან, გართობასთან დაკავშირებით, ვცდილობ, ამომწურავი პასუხი გავცე. მთავარი მიზეზი, რის გამოც შევქმენი ეს ჯგუფი მდგომარეობს შემდეგში: უბრალოდ ვიცი, თუ რას ნიშნავს სკოლიდან უნივერსიტეტში მოხვედრის შემდეგ პირველი დღეების გატარება; ეს ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. უამრავი რამე გაინტერესებს, დიდ იმედებს ამყარებ სტუდენტურ ცხოვრებაზე, დიდი მოლოდინი გაქვს და გჯერა, რომ სტუდენტური წლები საუკეთესო იქნება. როგორც ვატყობ, ძალიან სწრაფად იცვლება უკეთესობისკენ. წელს უამრავი გეგმა მაქვს ჩვენი სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის. იმედი მაქვს, რომ თითოეული ჩვენგანი ერთმანეთს გვერდში დავუდგებით და ერთად ვიზრუნებთ ჩვენი მიზნების მისაღწევად. ერთად ყველაფერს შევძლებთ!!!

**რამდენად ხარ ჩართული უნივერსიტეტის სპორტულ ცხოვრებაში და გაქვს თუ არა წარმატებები?**

წინა წელს აქტიურად ვიყავი ჩართული სპორტულ ცხოვრებაში, უნივერსიტეტში ჩამოვაყალიბე საფეხბურთო კლუბი „LEGENDS" და წლის ბოლოს ვიყავი ერთადერთი პირველკურსელი კაპიტანი. ჩემს გუნდელებთან ერთად მოვიგეთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თასი ფეხბურთში. გარდა ამისა, ჩვენი საფეხბურთო გუნდი დასახელდა, როგორც წლის ყველაზე სამართლიანი და კარგად ორგანიზებული გუნდი. შემოდგომაში მთელი გუნდი უნივერსიტეტიდან მივყავართ ტრაბზონში. ფეხბურთის გარდა, ვთამაშობ უნივერსიტეტის ფრენბურთის, ფრიზბისა და ამერიკული ფეხბურთის გუნდებში. მინდა აღვნიშნო და დიდი მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის სპორტული დეპარტამენტის ხელმძღვანელს ბატონ გიორგი ჯაფარიძეს, რომელიც თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია და რომელიც ძალიან დიდ საქმეს აკეთებს უნივერსიტეტში სპორტული ცხოვრების განვითარებისათვის. იგი ყოველთვის გვერდში გვიდგას სპორტით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

**რას მიიჩნევ უნივერსიტეტის ყველაზე დიდ პრობლემად?**

წინა წელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც აღმოვაჩინე იყო ის რომ, ჩვენი უნივერსიტეტი საქართველოს რეგიონებში არც თუ ისე ცნობილია. მაგალითად, მე თელავიდან ვარ და როდესაც ჩემს მეგობრებს ვუთხარი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ვაბარებ–თქო, იცით რა მკითხეს?– „მიშო, ბათუმში აპირებ ცხოვრებას?" ყველაფერი ნათელია!!! ამიტომ შევადგინე პროექტი, თუ როგორ გაგვეხადა ჩვენი უნივერსიტეტი პოპულარული რეგიონებში და წარვუდგინე რექტორს, რომელმაც ეს პროექტი მოიწონა და პიარის დეპარტამენტის უფროსთან ბატონ ზვიად ფიფიასთან ერთად ვახორციელებთ ამ პროექტს. დარწმუნებული ვარ, ეს პროექტი გაამართლებს და მინიმუმ 800 პირველკურსელი გვეყოლება მომავალ წელს.

**იქნებ, მოგვიყევით თვითმართველობის მომავალ გეგმებზე, რაც გამოიწვევს პირველკურსელთა ინტერესს**

დიდი სურვილი მაქვს უნივერსიტეტში გამოვაცოცხლო და გავამრავალფეროვნო სტუდენტური ცხოვრება. სხვადასხვა დეპარტამენტის უფროსებთან თანამშრომლობით ვაპირებ ამ პრობლემის გადაჭრას. მაგალითად, ასეთი რეგულაცია მინდა შემოვიღოთ: თუ უნივერსიტეტში რომელიმე კლუბი თვეში ერთხელ მაინც არ განახორციელებს აქტიურ ღონისძიებას, ის კლუბი გაუქმდება. თვითმართველობასთან დაკავშირებით მოკლედ ვიტყვი: მჯერა, რომ შეიქმნება ისეთი სტუდენტთა გუნდი, რომელიც გაიმარჯვებს თვითმართველობის არჩევნებში და ღირსეულად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. რეფორმების დროა!!!

# სწავლა გვიანი არასდროსაა

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში პროფესიული გადამზადება 1500-ზე მეტმა ადამიანმა გაიარა

*ნინო ალბუთაშვილი, სალომე ონაშვილი*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ისტორია 1995 წლიდან იწყება. 2011 წლიდან შზსუ-ს ბაზაზე შეიქმნა ტრენინგ-ცენტრი, რომლის მიზანიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანების პროფესიული გადამზადება, მათი კვალიფიკაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა. ცენტრი დახმარებას უწევს კერძო პირებსა და კორპორატიულ კლიენტებს პროფესიული უნარების ამაღლებაში.

2011 წლიდან დღემდე შზსუ-ს ტრენინგ-ცენტრი 1500-მდე მსმენელს მოემსახურა, მსმენელთა ასაკი შეუზღუდავია. უმაღლესი სასწავლებლის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ტრენინგ-ცენტრში გადამზადებული მსმენელების ძირითადი უმრავლესობა უკვე დასაქმებულია და თავის სფეროში ცოდნის გაღრმავება კვლავაც სურს.

ოთხწლიანი მუშაობის შედეგად მოთხოვნა იმდენად გაიზარდა, რომ დღეს შზსუ-ს ტრენინგ-ცენტრი ტრენინგებს 16 მიმართულებით ატარებს: ბიზნესის ადმინისტრირება, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, სასტუმროსა და საკურორტო მენეჯმენტი, მარკეტინგი და მომხმარებლის ქცევა, პროექტის მენეჯმენტი, გაყიდვების მენეჯმენტი, ლიდერობა და ეფექტური კომუნიკაციები, კომპიუტერული პროგრამების "Microsoft"-ის სასერთიფიკატო პროგრამები, მოლაპარაკებების მართვა და ტექნიკა, ონლაინ მარკეტინგი და სოციალური მედია, მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი, დროის მენეჯმენტი... ეს იმ ტრენინგების მოკლე ჩამონათვალია, რომელსაც მომხმარებელს სთავაზობენ. ტრენინგები კვირაში 3-ჯერ ტარდება 24 საათიანი ხანგრძლივობითა და მორგებულია თითქმის ყველა მსურველის დღის განრიგს. რაც შეეხება ფასს, ის თითოეული ადამიანისთვის ხელმისაწვდომია. ყოველი მომდევნოპროგრამის არჩევისას კი, მოქმედებს ფასდაკლება 25%-დან 50%-მდე. ინგლისურ და ქართულენოვანი




პროგრამების გავლის შემდეგ მსმენელებს შზსუ-ს ტრენინგ-ცენტრის ორენოვანი სერთიფიკატები გადაეცემათ.

ტრენინგში მონაწილეობა დასაშვებია, როგორც შავი ზღვის უნივერსიტეტის, ასევე, სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. პრაქტიკაზე ორიენტირებული ტრენერები წამყვან კომპანიებში დასაქმებული ტოპ-მენეჯერები არიან, რომელთაც მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ.

აქტიურად ტარდება სხვადასხვა მასტერკლასი. ცოტა ხნის წინ მასტერკლასი ჩაატარა "სინერჯი ჯგუფის" დამფუძნებელმა პაპუნა ტოლიაშვილმა. "სინერჯი ჯგუფი" მმართველობითი საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც 1999 წლის ოქტომბერში დაფუძნდა და მას შემდეგ ემსახურება საქართველოს კერძო და საჯარო ორგანიზაციებს მართვის სისტემების გაუმჯობესებაში. დაარსების დღიდანდღემდე კომპანიის ანგარიშზეა სამასამდე განხორციელებული პროექტი ათზე მეტ განსხვავებულ სფეროში. ბოლო წლებია კომპანია ფოკუსირებულია ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის, აღწერის, დანერგვისა და განვითარების პროექტებზე. ასევე, ამის საფუძველზე ორგანიზაციაში შეფასებისა და მოტივაციის სისტემების გამართვაზე. "სინერჯის" დღევანდელ გუნდს სწორედ ამ მიმართულებით აქვს ყველაზე დიდი კომპეტენცია დაგროვილი.

შავი ზღვის უნივერსიტეტის ტრენინგცენტრში კურსებზე ჩაწერა შეუძლიათ მათაც, ვისაც უკვე გავლილი აქვს ამ ცენტრის ნებისმიერი ტრენინგი.

ტრენინგცენტრს აქტიური ურთიერთობა აქვს ლოჯისტიკურ კომპანიებთან, რომელთაც სჭირდება ახალი კადრები, რის შემდეგაც უნივერსიტეტი კომპანიასა და პიროვნებას ერთმანეთს აკავშირებს.

ჩვენ გავესაუბრეთ ერთ-ერთ მსმენელს, სავაჭრო ცენტრ "თბილისი – ცენტრალის" თანამშრომელს ნატალია კლაჩკოვას, რომელიც ესწრებოდა ფინანსური მენეჯმენტის ტრენინგებს. ნატალიას ეს ტრენინგები დაეხმარა თავისი ცოდნის გაღრმავებაში, იგი ამბობს, რომ ძალიან კმაყოფილია ტრენერების მომზადების დონით და მისი ჯგუფის წევრებით. მან ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ახალგაზრდა ტრენერის ნინო პატარაიას ლექციები, რომლებიც ფინანსების მართვას ეხებოდა, არასოდეს დაავიწყდება, რადგან ის იყო არაჩვეულებრივი ტრენერი და ჰქონდა კარგი გადმოცემის უნარი. ნატალიას თქმით, იგი სხვა ტრენინგკურსებზე დასწრებასაც აპირებს და ამჯერად ინგლისურენოვან პროგრამას აირჩევს.

რატომ უნდა ავირჩიოთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტრენინგცენტრი? შეკითხვაზე პასუხი მარტივია: "ხარისხი, გარემო, საუკეთესო ტექნიკური აღჭურვილობა, ხელმისაწვდომი ფასი და მაღალი დონის ტრენერები - თითოეული მათგანი კომუნიკაბელური და თავისი საქმის პროფესიონალია, ყველა მათგანი მთლიანად იხარჯება ლექციაზე, საიდან გასულ მსმენელსაც არც ერთი კითხვა პასუხგაუცემელი არრჩება", ამბობს ტრენინგების ცენტრის კოორდინატორი ეკატერინე კვანტალიანი.

# “ახალი ამბების გაშუქება” და “ჟურნალისტური ეთიკა”

## საგნები, რომელსაც მომავალი ჟურნალისტები გაზაფხულის სემესტრიდან შეისწავლიან

*ნიკა მუხიგულაშვილი*

გაზაფხულის სემესტრის დაწყება ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს ახალ საგნებთან და ახალ პედაგოგებთან ერთად მოუხდათ. ჟურნალისტური ეთიკა და ახალი ამბების ჟურნალისტიკა ის ორი საგანია, რომლითაც სტუდენტები პროფესიული განათლების მიღებას აგრძელებენ. სემესტრის დაწყებამდე საგნის პედაგოგებს დალი ოსეფაშვილსა და თინათინ ბაშარულს გავესაუბრეთ.

დალი ოსეფაშვილი, თსუ-ს ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის პროფესორია, იგი 14 წელია, რაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. ლექ-



ციაზე პირველად 2000 წელს შევიდა. პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში კი, ჯერ კიდევ სტუდენტობისას სინჯა ბედი, ხუთწლიანი ინტენისურ პრაქტიკულ მოღვაწეობას საბოლოოდ დაემშვიდობა, რადგან უფრო აკადემიურმა და სამეცნიერო სფერომ გაიტაცა. ჟურნალისტური კარიერის დასაწყისში დალი აქტიურად აშუქებდა პოლიტიკურ საკითხებს, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, მალევე მიხვდა, რომ პოლიტიკა მისი მოწოდება არ იყო და გადაინაცვლა კულტურის, მეცნიერებისა და განათლების საკითხების გაშუქების სფეროში. მისი ჟურნალისტური პრაქტიკა უკავშირდება ისეთ ჟურნალ-გაზეთებს, როგორიცაა „თბილისი“, „ახალი ეპოქა”, „ექსპრეს ქრონიკა”. დალი ოსეფაშვილი ერთხანს რედაქტორის მოადგილე იყო გაზეთში „ფაქტი, აზრი, კომენტარი”.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს დალი ოსეფაშვილი “ახალი ამბების ჟურნალისტიკას” წაუკითხავს. საგანი, როგორც პედაგოგი თავად ამბობს, სავალდებულო და საბაზისოა მომავალი ჟურნალისტებისათვის. ამ საგნის ფარგლებში ისინი, პირველ რიგში, ახალი ამბების გაშუქებისა და ტექსტის წერის ტექნიკას უნდა დაეუფლონ. საგნის შესწავლის პერიოდში თეორიულთან ერთად და, შეიძლება, უფრო მეტადაც კი, გამოყენებული იქნება პრაქტიკული სწავლება.

“ახალი ამბების” გაშუქების სწავლებისათვის უკვე არსებობს ქართულენოვანი სახელმძღვანელო. კოლუმბიელი პროფესორის მელვინ მენჩერის წიგნი „ ახალი ამბების გაშუქება და წერა” ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით უკვე ითარგმნა ქართულად.

დალი ოსეფაშვილის თქმით, ამ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეიძენენ იმ უნარ-ჩვევებს, რაც დასჭირდება პრაქტიკოს ჟურნალისტს. გაცნობიერებული ექნებათ ისეთი ღირებულებები, როგორიცაა მიუკერძოებლობა, სიძულვილის ენის გამოყენებისგან თავშეკავება, ბალანსის და ეთიკური ღირებულებების დაცვა.

**თიკა ბაშარული** 20 წელია ძირითადად ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა. აქედან 14 წელი აქტიურ ჟურნალისტიკას დაუთმო. 6 წელი კი, იმ დონორ ორგანიზაციებში მუშაობდა, რომლებიც საქართველოში მედიის განვითარებას უწყობენ ხელს, ბოლო ასეთი ორგანიზაცია აირექს-საქართველოა, რომელმაც აშშ-ს განვითარების სააგენტოს დაფინანსებით საქართველოს მედიის განვითრაების ხელშეწყობის ოთხწლიანი პროექტი - Media განახორციელა.



თინათინ ბაშარული თავის კარიერაში უპირატესად სატელევიზიო ჟურნალისტიკის გამოცდილებას მიიჩნევს. მათ შორისაა ტელეკომპანია „რუსთავი 2”-ის, „საზოგადოებრივი მაუწყებლისა” და „იმედის” თანამშრომლობის პერიოდი, ყველაზე დიდხანს 10 წლის განმავლობაში იგი ამერიკულ სატელევიზიო სააგენტო „ასოშეიტედ პრესში” მუშაობდა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს თიკა, ‚ჟურნალისტურ ეთიკას” წაუკითხავს. მისი თქმით, ეს სასწავლო კურსი მომავალ ჟურნალისტებს დაეხმარება, რომ მათ უკეთ გააანალიზონ და გააცნობიერონ საკუთარი როლი საზოგადოების წინაშე, დაეუფლონ ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებსა და პროფესიული საქმიანობისას სწორედ ეთიკის სტანდარტებს შეუსაბამონ ყველა გადაწყვეტილება. თიკა ბაშარული გეგმავს, რომ უცხოური მაგალითების გაანალიზების მეთოდით, ეგრედწოდებული “Case Study”-ს საშუალებით გაუზიაროს სტუდენტებს ეთიკური დილემები და გადაწყვეტილებები, რასაც შიდა რეგულირების ორგანოები ღებულობდნენ უცხოურ მედიაორგანიზაციებში.

გარდა ამისა, სასწავლო კურსში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა




ქართული მაგალითების შესწავლას. საქართველოში ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, როგორც ჟურნალისტთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, 2009 წლიდან დაფუძნდა. ხუთწლიანი არსებობის განმავლობაში პროფესიული თვითრეგულირების ამ ორგანომ რამდენიმე ათეული საქმე განიხილა და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დარღვევის შესახებ არაერთი გადაწყვეტილება გამოიტანა. 2014 წელს ეთიკის ქარტიის გადაწყვეტილებები წიგნად გამოიცა და დღესდღეობით არსებობს რესურსი, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნონ საქართველოში ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების დანერგვის პრაქტიკას. ბუნებრივია, ქართული მაგალითების განხილვა და შესწავლა ამ საგნის განუყოფელი ნაწილი იქნება.

ამდენად, 2015 წლის გაზაფხულის სემესტრი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებისათვის დატვირთული და მრავალფეროვანი იქნება. საგნების პედაგოგთა ენთუზიაზმს სტუდენტების ენთუზიაზმიც თან უნდა დაერთოს, რადგან სწავლება ორმხრივი და ერთობლივი პროცესია.

# შავი ზღვის უნივერსიტეტში უკვე ჟურნალისტიკაც ისწავლება

## ინტერვიუ მაგდა მემანიშვილთან

*ნიკა მუხიგულაშვილი ნინა გაჩეჩილაძე*



მაგდა მემანიშვლი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერების ფაკულტეტის, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი კოორდინატორია. ჩვენი უნივერსიტეტის გარდა, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორია, სადაც უკვე 10 წელზე მეტია ასწავლის. იგი ცდილობს არ ჩამორჩეს ჟურნალისტურ პრაქტიკას და დამოუკიდებელი არასამთავრობო მედია ორგანიზაციის „სტუდია მონიტორის“ ჟურნალისტი და 14 ჟურნალისტური გამოძიების ავტორია.

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის სპეციალობის შემოტანის იდეა როგორ გაჩნდა?**

ეს იდეა, პირველ რიგში, ეკუთვნის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის წარმომადგენლებს, რომლებიც გრძნობდნენ საჭიროებას, რომ უნივერსიტეტში ამ სპეციალობითაც მომზადებულიყვნენ კადრები. პროგრამაზე მუშაობა წელიწადზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. პროგრამის ავტორები ვართ ქალბატონი ნინო ყულოშვილი და მე, ბევრ პროფესიონალთან გავიარეთ კონსულტაცია, ბიუროკრატიული სამუშაო მრავლად ჩავატარეთ და ვცადეთ, რომ საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამა შეგვექმნა. ძალიან გაგვიხარდა, როდესაც განათლების სამინისტროში ჩვენმა პროგრამამ ავტორიზაცია გაიარა. პირველ წელს მიღება მხოლოდ 30 ადგილზე გამოვაცხადეთ, თუმცა მსურველი გაცილებით მეტი, თუ არ ვცდები 60-მდე აბიტურიენტი იყო. აქედან მხოლოდ 30 მოხვდა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე.

**როგორ და რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ ის პერსონალი, ვინც მომავალ ჟურნალისტებს უნდა ასწავლოს?**

ამჟამად პროგრამას სამი პროფესორი ჰყავს ორი ასოცირებული და ერთიც ასისტენტი, კონკურსი უნივერსიტეტმა თავისი ტრადიციისამებრ ჩაატარა, კრიტერიუმებიც რამდენიმე იყო - ნაშრომების რაოდენობა, სწავლების გამოცდილება, გასაუბრება. ამის შედეგად შეირჩა ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე ქალბატონი ნელი ცქიტიშვილი, ასისტენტის პოზიციაზე ქალბატონი ნინო ყულოშვილი და, ასევე, ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შემარჩიეს მეც.

თუმცა, ბუნებრივია, მხოლოდ 3 პროფესორი ჟურნალისტიკის პროგრამისათვის არ არის საკმარისი, ამიტომ ძირითადი დატვირთვა პროგრამაში მოწვეული პროფესორები, აგრეთვე, პრაქტიკოსი ჟურნალისტები შეადგენენ. ჩვენ ვიწვევთ, განსაკუთრებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, გარდა ამისა, მოწვეულთა შორის დიდი წილია პრაქტიკოსი ჟურნალისტებისა ეს პროფესია მოითხოვს კიდეც ამას. მაგალითად, პირველ სემესტრში ახალ საგანს “მედიაწიგნიერებას” ცნობილი ჟურნალისტი ია ანთაძე კითხულობს. შემდგომ სემეტრებშიც გათვალისწინებულია რადიო, პრესისა და სატელევიზიო ჟურნალისტების მოწვევა. სამწუხაროდ, ბევრი კარგი ჟურნალისტი, ამავდროულად კარგი პედაგოგი არ არის, ძალიან შევეცდებით, რომ მაღალი პროფესიული სტანდარტების დამცველი ისეთი ჟურნალისტები მოვიწვიოთ, რომელთაც, ასევე, სწავლების ნიჭი აქვთ.

**რადგან შევეხეთ ლექტორებს, თუ საიდუმლო არ არის, ვინ იქნებიან შემდეგში ჩვენი ლექტორები და რა სიახლეებს ველოდოთ სტუდენტები მომავალში?**

სიმართლე გითხრათ, ამის თქმა წინასწარ არ მინდა. ძალიან მინდა ახალი ამბები თსუ-ს პროფესორმა წაგიკითხოთ, რომელთანაც მიდის აქტიური მოლაპააკებები, ასევე ეთიკა, რომლის წიგნიც უკვე არსებობს, ძალიან მინდა, რომ არა იმდენად აკადემიური სივრცის, არამედ, პრაქტიკული გამოცდილების მქონე ჟურნალისტმა წაგიკითხოთ..

პრქტიკასთან სიახლოვის კიდევ ერთი გზაა სტაჟირებები, ე.წ. “თოკ შოუების” ჩაწერაზე დასწრებაცაა. პირველივე დღიდან ჩვენი სტუდენტები არაერთი შოუს ჩაწერას ესწრებიან. მე, პირადად, დავუკავშირდი პირველი არხის გადაცემა „რეალურ სივრცეს“, რომელიც, ჩემი აზრით, საქართველოში არსებულ “თოკ შოუებს” შორის საუკეთესოა, აქ არა იმდენად სკანდალზე და რეიტინგზე კეთდება აქცენტი, რამდენადაც პრობლემის სიღრმისეულ გაანალიზებაზე. თემატიკა უპირატესად სოციალურია - უსახლკარო პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სოციალურად მოწყვლადი სხვადასხვა ჯგუფი “რეალური სივრცის” მუდმივი სტუმრები არიან. ძალიან გვსურს, რომ სამომავლოდ ჩვენმა სტუდენტებმა ამ გადაცემაში სტაჟირებაც გაიარონ.

**ინტერვიუს ბოლოს კი მინდა გკითხოთ, რა რჩევებს მოგვცემდით დამწყებ ჟურნალისტებს?**

დამწყებ ჟურნალისტებს ბევრ რჩევას მოგცემდით. თუმცა, ერთ რჩევას თუ მეკითხებით, ასეთი იქნება: არ მისცეთ გარემო პირობებს თქვენში ენთუზიაზმისა და ჟურნალისტური შემართების ჩაქრობის უფლება. ჟურნალისტად მუშაობას ახლავს არაამდგრადობა, ბევრი გულის ტკენა, დაუმსახურებელი შენიშვნები და, ბუნებრივია, ეს რთული გასამკლავებელია, მითუმეტეს დამწყებთათვის. თუმცა, შეინარჩუნეთ აქტიურობა და აუცილებლად მოუფრთხილდით განწყობას, ჟურნალისტურ სულისკვეთებას.

# მედია, როგორც სიძულვილის ენის გამტარი

## ინტერვიუ “მედიის განვითარების ფონდის” აღმასრულებელ დირექტორთან

*ნიკა მუხიგულაშვილი*

საქართველოში არსებულ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, რომლებიც მედიის საკითხებზე მუშაობს, ერთ-ერთი “მედიის განვითარების ფონდია”, რომელიც 2008 წელს დაფუძნდა. ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე თამარ კინწურაშვილი 2014 წლის ბოლოს შავი ზღვის უნივერსიტეტს ესტუმრა და საინტერესო შეხვედრა გამართა თემაზე მედიის ანგარიშვალდებულება, სიძულვილის ენა და უმცირესობების უფლებები ქართულ მედიასივრცეში. შეხვედრიდან რამდენიმე ხანში ჩვენ თამარ კინწურაშვილთან ინტერვიუ ჩავწერეთ, გთავაზობთ საუბრის მოკლე ვერსიას



**თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვით გვიამბეთ თქვენი ორგანიზაციის შესახებ, როდის დაფუძნდა, ვინ არიან თანამშრომლები, რა არის თქვენი ორგანიზაციის მისია, რა პროექტები გაქვთ განხორციელებული?**

მედიის განვითარების ფონდი დაფუძნდა 2008 წელს. მისი მიზანია მედიის პროფესიონალური და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა. ჩვენ ვმუშაობთ როგორც მედიის სტანდარტების დაცვის კუთხით, ასევე, მედიის დაცვის უფლებების თვალსაზრისით, გენდერული კუთხით, რაც მიზნად ისახავს ქალთა თანასწორობის ცნობიერების ამაღლებას, ასევე, ვმუშაობთ გამჭირვალეობის საკითხებზე, იმაზე, თუ როგორ იხარჯება საბიუჯეტო თანხები, რომელიც მედიისკენაა მიმართული.

**თქვენ მიერ ჩატარებული პროექტებისა, თუ პირადი დაკვირვებების საფუძველზე, როგორ ფიქრობთ, რა არის ის სისტემური შეცდომები, რასაც ქართული მედია უშვებს, როდესაც აშუქებს რელიგიურ, სექსუალურ, თუ ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებს?**

თუ ვისაუბრებთ უშუალოდ სიძულვილის ენაზე, აქ უნდა განვასხვავოთ ორი ტიპის მედია. ერთი, რომელსაც აქვს გააზრებული სარედაქციო პოლიტიკა და მეორე მეინსტრიმული, ანუ წამყვანი მედია (ძირითადად ტელეარხები), რომელიც არა გამიზნულად, არამედ ხშირად არაპროფესიონალიზმის გამო უშვებს შეცდომებს. მონიტორინგის შედეგად არაერთი ასეთი შეცდომა აღმოგვიჩენია. ამიტომ ჩვენ ვიყენებთ თვითრეგულირების მექანიზმებს და ვასაჩივრებთ ასეთ შემთხვევებს, როგორც მაუწყებელთა გასაჩივრების თვითრეგულირების კომისიაში, ასევე, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში. იმედი გვაქვს, რომ ასეთი გზა შედეგიანი იქნება და საბოლოოდ ჩვენი ძალისხმევა აისახება ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაზე.

**სიძულვილის ენისა, თუ უმცირესობებზე საუბრისას ეთიკური სტანდარტების დარღვევის კუთხით რომელი მედია უფრო მეტს სცოდავს -ბეჭდური, ტელე, რადიო, თუ ინტერნეტმედია?**

ასე ვერ გამოვყოფდი. როგორც ბეჭდური პრესის, ისე ინტერნეტმედიის სივრცეში არიან გამოცემები, რომლებიც მუდმივად არღვევენ ეთიკურ სტანდარტებს - ესენია: ინტერნეტ ტელევიზია “ობიექტივი”, საინფორმაციო სააგენტო “საქინფორმი”, ყოველკვირეული გაზეთები “ასავალ-დასავალი” და “საქრთველო და მსოფლიო”, ამ უკანასკნელთ აქვთ ინტერნეტპორტალებიც და, ბუნებრივია, მათი ტექსტები ონლაინ რეჟიმშიც ქვეყნდება. ყველა ასეთი მედიასაშუალების შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ უზარმაზარია რესპონდენტების წვლილი. ანუ, თავად რესპონდენტები იყენებენ სიძულვილის ენას და მედია ასეთ შემთხვევებში არის მხოლოდ გამტარი.

# ომარ კვარაცხელია - მსოფლიო თასის მფლობელი მკლავჭიდში

*ნანა ბერუკაშვილი, კესო მამფორია*



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტებს წარმატებული სწავლისა და აკადემიური მოსწრების გარდა, სხვა აქტივობებში, მათ შორის სპორტულ ღონისძიებებში, მონაწილეობის საშუალება აქვთ, ბევრი მათგანი ამ შესაძლებლობას წარმატებულად იყენებს.

ფინანსების ფაკულტეტის მაგისტრანტმა ომარ კვარაცხელიამ სწავლასთან ერთად სპორტშიც გამოიჩინა თავი, საკუთარი მონდომებისა და უნივერსიტეტის თანადგომის საშუალებით ომარმა არაერთ წარმატებას მიაღწია.

პირველად მკლავჭიდის შეჯიბრზე 2008 წელს გავიდა და სრულიად მოუმზადებელმა შეძლო გამარჯვების მოპოვება. ის საქართველოს პრიზიორია და მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ტურნირებში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი 2010 წელს პოლონეთსი ქალაქ სოფოტა გამართული „მსოფლიოს თასი“ გახლდათ, როდესაც მასზე მაღალ წონით კატეგორიაში იასპარეზა, მიუხედავად ამისა, მან შეძლო ბრინჯაოს მედლის მოპოვება. რომელ წელს??? ბოლოს კი, ლიტვაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, გუნდურად შეძლეს მეოთხე ადგილზე გასვლა და თექვსმეტი ოქროს მედლის მოპოვება.

ომარი დღესაც აქტიურ ცხოვრებას ეწევა. ის აპირებს სწავლის გაგრძელებას და ამასთან ერთად სურს აფხაზეთის მკლავჭიდთა ფედერაციის შექმნა. ეს შეთავაზებაც სწორედ შავი ზღვის უნივერსიტეტიდან მიიღო, რის გამოც მადლობას უხდის ქალბატონ მარინა ყიფიანს. იგი სპორტის მხოლოდ ერთი სახეობით შემოფარგვლას არ აპირებს და ახლა დაინტერესებულია ახალი სპორტის სახეობით- “Mast Wrestling”, რომელიც საქართველოში არ არის განვითარებული.

ქართველი ჩემპიონის თქმით, შავი ზღვის უნივერსიტეტში შექმნილია ყველა პირობა, რომ გახდე წარმატებული და მიაღწიო დასახულ მიზანს. ომარის კარიერის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის სწორედ უნივერსიტეტს, რომელმაც შეღავათის მიზნით გაუნახევრა გადასახადი. ამისათვის მადლიერია რექტორისა და სპორტული კლუბების დეპარტამენტის, ყველა იმ ადამიანის, ვინც გვერდში დაუდგა, განსაკუთრებით კი, ილია ალბუთაშვილის, რომელიც დაეხმარა მას მომზადებაში. უნივერსიტეტის დაფინანსებით, მისივე სახელით წარსდგა ბათუმში შეჯიბრზე, საიდანაც ორი თასითა და მედლით დაბრუნდა.

# სპორტული ცხოვრება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

*ნათია შარმიაშვილი, საბა კეკელიძე*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტრების სპორტულ ცხოვრებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. უმაღლესი სასწავლების ადმინისტრაცია ცდილობს სტუდენტებს აუმაღლოს მოტივაცია და სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდებს ამ სფეროში ძალების რეალიზების საშუალება მისცეს.

დატვირთული სასწავლო გრაფიკის შემდეგ, სპორტი საუკეთესო გზაა მოდუნებისათვის. უნივერსიტეტს სპორტის ზოგიერთ სახეობაში ჰყავს პროფესიული გუნდები. უმაღლესი სასწავლებელი შეჯიბრებებს სპორტის ისეთ სახეობებში ატარებს, როგორიცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მკლავჭიდი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი 2014 წელს, უკვე მესამედ უმაღლესმა სასწავლებელმა ჩაატარა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საფეხბურთო ლიგა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა თორმეტი საუკეთესო გუნდი. იგი დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის სტუდენტებით. ლიგა სექტემბერში დაიწყო და მაისის ბოლომდე გასტანს. ასევე, გაიმართება შზსუ-ს თასი, სადაც ლიგის შვიდი გამარჯვებული გუნდი მიიღებს მონაწილეობას, ამას ემატება მერვე გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებით. ბოლოს, ლიგისა და თასის გამარჯვებულები დასახელდებიან.

2015 წლის დასაწყისში ხუთი გაშვებული გუნდი ახალი შემადგენლობითა და პირველკურსელებით შეუდგება თამაშს. აქედან ხუთი საუკეთესო გუნდი დაემატება საფეხბურთო ლიგას.

გაზაფხულის სემესტრიდან სხვადასხვა სახის სპორტული ჩემპიონატები გაიმართება.



უმაღლეს სასწავლებელში ტრადიციულად იმართება “შიდა საუნივერსიტეტო მეგობრული სპორტული ფესტივალი”.

უნივერსიტეტს ჰყავს საკმაოდ წარმატებული საკალათბურთო გუნდი, რომელიც 10 წლის წინ შეიქმნა. კალათბურთის გუნდმა ოთხჯერ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ფესტივალზე სტამბოლში.

უნივერსიტეტი ხშირად ატარებს ისეთ სპორტულ და გასართობ ღონისძიებებს, როგორიცაა: ბოულინგი, კარტინგი, ლაზერგეიმი, ტირი, სადაც მონაწილეობის საშუალება ეძლევა როგორც სტუდენტებს, ასევე, ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

სპორტის განყოფილების ხელმძღვანელის გიორგი ჯაფარიძის თქმით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სპორტული ცხოვრება ყოველწლიურად პროგრესისაკენ მიიწევს. მინიმუმ სამი სპორტული გუნდი მაინც ემატება ყოველწლიურად შავი ზღვის უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის არიან წარმატებული სპორტსმენები:

გიორგი აკობია - საქართველოს ფუდრალის ეროვნული ნაკრების წევრი, რომელიც გამოიძახეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

ირინა ჭელიძე - საქართველოს ფრენბურთის ნაკრების წევრი, საქართველოს ორ გზის ჩემპიონი.

მარი მუკაზაშვილი - საქართველოს ფრენბურთის ნაკრების წევრი, საქართველოს ორ გზის ჩემპიონი.

ომარ კვარაცხელია - საქართველოს მკლავჭიდის ნაკრების წევრი, საქართველოს ჩემპიონი, ევროპის ვერცხლის პრიზიორი.

ყოფილ სტუდენტი სეი უსუფი, რომელიც უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდ “გლადიატორში” თამაშობდა, ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე იყო გატ-



ანილი გოლების რაოდენობით. როგორც თავად აღნიშნა, უნივერსიტეტში მიმდინარე სპორტულმა ცხოვრებამ სასიამოვნო მოგონებები დაუტოვა, შეჯიბრებებში მონაწილეობამ მიანიჭა უდიდესი სიამოვნება, რაც სპორტული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. “მიშა გულიაშვილი იყო შავი ზღვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საფეხბურთო გუნდის “ლეგენდს”-ის კაპიტანი.

ამ გუნდმა გარდა იმისა, რომ ზემოაღნიშნულ ლიგაში მეორე ადგილი დაიკავა, მოიგო უნივერსიტეტის თასი. სტუდენტობა მხოლოდ სწავლა არ არის. სპორტულ და სხვა სოციალურ ღონისძიებებში ჩართულობა ხელს უწყობს ახალი მეგობრების შეძენას და სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას”, განაცხადა ჩვენთან საუბრისას სეუ უსუფმა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სპორტული ცხოვრება კვალინდებურად ინტენსიურია, ყველას, ვინს ფიზიკურ აქტივობას საკუთარი ყოფის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, უმაღლესი სასწავლებელი სპორტული გუნდებითა და შეჯიბრებებით შეუწყობს ხელს.

# ფ ო ტ ო კ ო ლ ა ჟ ი


























გაზეთზე იმუშავეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა

გაზეთი ეკუთვნის შპს “შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს” ვრცელდება უფასოდ



+995 32 2595005
+995 32 2595008
contact@ibsu.edu.ge
ibsu.edu.ge

დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ. 2
თბილისი, საქართველო
0131